3. ზსხ-ის კურსანტი-ინსტრუქტორის საწყისი და პედაგოგიური მომზადება ხორციელდება ამ წესის მე-8 თავის შესაბამისად.

4. კომპეტენციის შეფასებისთვის დათმობილი საათები არ შედის მომზადების პროგრამის დასასრულებლად საჭირო საათების საერთო რაოდენობაში.

5. მომზადების პროგრამა შედგება ორი ნაწილისგან:

- ა) I ნაწილი: თეორიული ცოდნა, რომელიც მოიცავს ინსტრუქტაჟის ტექნიკას;
- ბ) II ნაწილი: საფრენოსნო ინსტრუქტაჟი.

ნაწილი I

ინსტრუქტაჟის ტექნიკის სწავლების შინაარსი

1. საწყისი სწავლებისა და პედაგოგიური მომზადების პროგრამის შინაარსი და მოცულობა განისაზღვრება ამ წესის მე-8 თავის შესაბამისად.

2. თეორიული მომზადების საათებიდან, სულ მცირე, 15 სთ ეთმობა ინსტრუქტაჟის და სწავლების ტექნიკას.

ზოგადი ინფორმაცია „სწავლასთან“ დაკავშირებით

| |
|--|
| ა) სწავლის პროცესი მოიცავს შემდეგ საკითხებს: |
| ა.ა) ადამიანის შესაძლებლობების მნიშვნელობა სწავლების დაწყებისას; |
| ა.ბ) მოტივაციის მნიშვნელობა; |
| მომზადების სამკუთხედი/ საფრენოსნო მომზადების გაკვეთილის დაგეგმვა – მეთოდები და ტექნიკა |
| ა.გ) სწავლის დამაბრკოლებელი ფაქტორები; |
| ა.დ) ინსტრუქტაჟის და სწავლების ტიპები (სტილები); |
| სწავლის შემაგულიანებელი (მამოტივირებელი) ფაქტორები; |
| სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების აღმოჩენა; |
| ა.ე) ქცევების ანალიზი; |
| ა.ვ) პედაგოგიური ურთიერთობის ჩამოყალიბება/ მართვა; |
| ა.ზ) სწავლის მეთოდები: CBT ("კომპეტენციაზე დაფუძნებული სწავლება"); |

| |
|---|
| ა.თ) სწავლის ინტენსივობა და შესაძლებლობის საზღვრები. |
| ბ) ინსტრუქტაჟის პროცესი მოიცავს შემდეგ საკითხებს: |
| ბ.ა) ეფექტური ინსტრუქტაჟის ელემენტები; |
| ბ.ბ) საინსტრუქტაჟო საქმიანობის დაგეგმვა; |
| ბ.გ) ინსტრუქტაჟის მეთოდები; |
| ბ.დ) ინსტრუქტაჟი „ცნობილიდან“ „უცნობამდე“; |
| ბ.ე) გაკვეთილის გეგმების გამოყენება. |
| გ) მომზადების ფილოსოფია (ძირითადი პრინციპები) მოიცავს შემდეგ საკითხებს: |
| გ.ა) პედაგოგიური პროცესის დაგეგმვა და წარმართვა (მეთოდოლოგია); |
| გ.ბ) ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია (როლური მოდელის მნიშვნელობა); |
| გ.გ) ზსხ-ის მეთაურის როლი, პასუხისმგებლობები და ქცევა; |
| გ.დ) შეფასება და შეფასების სისტემები. |
| დ) გამოყენებული ინსტრუქტაჟის ტექნიკა მოიცავს შემდეგ საკითხებს: |
| დ.ა) ინსტრუქტაჟის თანამედროვე საშუალებების ცოდნა; |
| დ.ბ) პრეზენტაციები; |
| დ.გ) ფრენის დაგეგმვის პროგრამული საშუალებები; |
| დ.დ) საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიური საშუალებები; |
| დ.ე) თეორიული ცოდნა: |
| დ.ე.ა) სწავლების დამხმარე საშუალებების გამოყენება; |
| დ.ე.ბ) საკლასო ლექციები; |
| დ.ე.გ) მომზადების საკითხებთან დაკავშირებული ინდივიდუალური ინსტრუქტაჟები (ბრიფინგი); |
| დ.ე.დ) პილოტ-კურსანტის თანამონაწილეობა და განხილვა (მსჯელობა); |
| დ.ვ) საფრენოსნო მომზადება/ ხმელეთზე და ფრენისას ინსტრუქტაჟის ტექნიკა: |
| დ.ვ.ა) საფრენოსნო ეკიპაჟის კაბინის გარემო; |
| დ.ვ.ბ) ფრენის შემდგომი ინსტრუქტაჟი (დებრიფინგი), ფრენის შეფასება, გადაწყვეტილების მიღება. |
| ე) პილოტ-კურსანტის შეფასება და კონტროლი მოიცავს შემდეგ საკითხებს: |
| ე.ა) პილოტ-კურსანტის საქმიანობის (მოქმედებათა) შეფასება: |
| ე.ა.ა) სწავლების პროგრესის შემოწმებების მნიშვნელობა; |
| ე.ბ) პილოტ-კურსანტის შეცდომათა ანალიზი: |
| ე.ბ.ა) შეცდომათა გამომწვევი მიზეზების დადგენა; |
| ე.ბ.ბ) თავდაპირველად მნიშვნელოვანი შეცდომების, ხოლო შემდეგ უმნიშვნელო შეცდომების გამოსწორება; |
| ე.ბ.გ) ჭარბი კრიტიკისთვის თავის არიდება და მოტივაციის ზრდის ხელშეწყობა; |
| ე.ბ.დ) მკაფიო და ზუსტი კომუნიკაციის მნიშვნელობა. |
| ვ) მომზადების პროგრამის შემუშავება მოიცავს შემდეგ საკითხებს: |
| ვ.ა) გაკვეთილების ორგანიზება; |
| ვ.ბ) მომზადება; |
| ვ.გ) ახსნა-განმარტება და დემონსტრირება (ჩვენება); |
| ვ.დ) პილოტ-კურსანტის მონაწილეობა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება; |
| ვ.ე) შეფასება. |
| ზ) ადამიანის შესაძლებლობები და საფრენოსნო მომზადებასთან დაკავშირებული შეზღუდვები მოიცავს შემდეგ საკითხებს: |
| ზ.ა) ფიზიოლოგიური ფაქტორები: |
| ზ.ა.ა) ფსიქოლოგიური ფაქტორები; |
| ზ.ა.ბ) ინფორმაციის დამუშავება; |
| ზ.ა.გ) ქცევა; |

| |
|---|
| ზ.ა.დ) განსჯისა და გადაწყვეტილების მიღების უნარების განვითარება; |
| ზ.ბ) საშიშროებების და შეცდომების მართვა (TEM). |
| თ) ზსხ-ს ფრენის განმავლობაში სისტემების მტყუნებებისა და უწყისობების იმიტაციასთან დაკავშირებული (დამახასიათებელი) საფრთხეები მოიცავს შემდეგ საკითხებს: |
| თ.ა) გარემოს (სიტუაციური) გაცნობიერება; |
| თ.ბ) შესაბამისი პროცედურების დაცვა (ზსხ-ის, გარემო-პირობების და ა.შ.); |
| თ.გ) ზსხ-ს უწყისობის იმიტაციის სავარჯიშოს დაგეგმვა და დაკავშირებული რისკების მართვა; |
| თ.დ) სავარჯიშოს სცენარის შემუშავება. |
| ი) მომზადებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული საკითხები მოიცავს შემდეგ საკითხებს: |
| ი.ა) მომზადებასთან დაკავშირებული ჩანაწერები (თეორიული და საფრენოსნო); |
| ი.ბ) სახმელეთო და საფრენოსნო მომზადების პროგრამა; |
| ი.გ) დამხმარე დოკუმენტებისა და სახელმძღვანელოების მონაცემთა ბაზა; |
| ი.დ) სააგენტოს მიერ დადგენილი წესებით განსაზღვრული პროცედურები ; |
| ი.ე) ფრენის შესრულების სახელმძღვანელო; |
| ი.ვ) სავალდებულო დოკუმენტები; |
| ი.ზ) მომზადებისას გამოყენებული ზსხ-ს დოკუმენტაცია; |
| ი.თ) ზსხ-ის პილოტის მოწმობის და კვალიფიკაციის გაცემის, მოქმედების ვადის გაგრძელების / განახლების და მოწმობასთან დაკავშირებული უფლებამოსილების გამოყენების წესი. |

ნაწილი II

საფრენოსნო ინსტრუქტაჟის საკითხები

1. საფრენოსნო ინსტრუქტაჟის საკითხები მსგავსია იმ საკითხებისა, რაც გამოიყენება ზსხ-ს პილოტის მომზადებისთვის, მაგრამ დამატებით მოიცავს ინსტრუქტორის საჭიროებების დასაფარად განკუთვნილ ელემენტებს (პედაგოგია, ტექნიკური მხარე).

2. ამ ნაწილში მოცემული საფრენოსნო ინსტრუქტაჟის საკითხები უნდა იყოს გამოყენებული, როგორც სახელმძღვანელო დოკუმენტი სასწავლო გაკვეთილების შემუშავების პროცესში. დასაშვებია, რომ საკითხების რეალური რიგითობა არ ედრებოდეს ხსენებულ ჩამონათვალს, რაც, თავის მხრივ, დამოკიდებულია შემდეგ ურთიერთდაკავშირებულ ფაქტორებზე:

- ა) პილოტ-კურსანტის პროგრესი და შესაძლებლობები;
- ბ) ამინდის პირობები, რომელიც გავლენას ახდენს ფრენაზე;
- გ) ხელმისაწვდომი საფრენოსნო დრო;
- დ) გამოსაყენებელი საინსტრუქტაჟო ტექნიკა;
- ე) ადგილობრივი საექსპლუატაციო გარემო-პირობები.

3. **თითოეული სწავლების ადაპტირება:** კურსანტი ინსტრუქტორი საინსტრუქტორო საქმიანობის განმავლობაში შესაძლოა დადგეს მსგავსი ურთიერთდაკავშირებული ფაქტორების წინაშე. შესაბამისად, ამ სწავლების ფარგლებში უნდა განხორციელდეს მათი მომზადება საფრენოსნო საგაკვეთილო გეგმის შემუშავებასთან (შედგენასთან) დაკავშირებით. ასეთი სწავლება მხედველობაში უნდა იღებდეს ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორებს იმგვარად, რომ შესაძლებელი გახდეს თითოეული საფრენოსნო სავარჯიშო გაკვეთილის საუკეთესოდ გამოყენება და საჭიროებისას, სავარჯიშოთა წყვილების გაერთიანება.

4. **ინსტრუქტაჟი (ბრიფინგი):** ინსტრუქტაჟი მოიცავს ფრენის საფუძვლების გამეორებას და დაგეგმილი ფრენის შესრულების თანმიმდევრობის გაცნობას. ზუსტად უნდა განისაზღვროს ის სავარჯიშოები, რომელზეც ზსხ-ის ფრენის ინსტრუქტორი ახორციელებს ინსტრუქტაჟს და რომელსაც პილოტ-კურსანტი ასრულებს ფრენისას.

ინსტრუქტაჟის დროს ზუსტად უნდა განიმარტოს ყველა საჭირო ინსტრუქცია, რაც აუცილებელია მოსამზადებელი სავარჯიშოს სათანადოდ ჩასატარებლად.

5. ინსტრუქტაჟი მოიცავს შემდეგ ძირითად კომპონენტებს:

ა) გაკვეთილის მიზანი (მიმდინარე დღეს დაგეგმილ სავარჯიშოებთან მიმართებით);

ბ) საფრენოსნო სავარჯიშო(ებ)ი (რა, როგორ, რა საშუალებებით და ვის მიერ);

გ) გარემოს (სიტუაციური) გაცნობიერება (TEM, ამინდი, ფრენის უსაფრთხოება და ა.შ.).

6. **საფრენოსნო გაკვეთილების დაგეგმვა:** საფრენოსნო გაკვეთილის გეგმის შედგენა წარმოადგენს შედეგიანი მომზადების აუცილებელ წინაპირობას. შესაბამისად, ზსხ-ის კურსანტმა-ინსტრუქტორმა ზედამხედველობის ქვეშ უნდა შეიმუშავოს აღნიშნული გეგმა(ები) და გამოიყენოს იგი პრაქტიკაში.

7. **საფრენოსნო მომზადება:** ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტაჟის ძირითადი საფუძვლების პრაქტიკაში გამოყენებამდე კურსანტმა-ინსტრუქტორმა დამაკმაყოფილებლად უნდა დაასრულოს საფრენოსნო მომზადება.

8. **ადაპტირების და გადაწყვეტილების მიღების პროცესი:** საფრენოსნო მომზადების განმავლობაში, კურსანტი-ინსტრუქტორი ზსხ-ზე იკავებს ზსხ-ის ფრენის ინსტრუქტორისათვის განკუთვნილ ადგილს.

9. **გარემო-პირობების აღქმა და (სიტუაციური) გაცნობიერება:** ყველა ფრენის შედეგიანი განხორციელების აუცილებელი წინაპირობებია: პილოტის ადაპტაციის უნარი, გადაწყვეტილების მიღების პროცესი, სიფხიზლე და ყურადღების სწორი გადანაწილება. შესაბამისად, თითოეული საფრენოსნო სავარჯიშოს განმავლობაში ყურადღება უნდა გამახვილდეს პილოტის დაკვირვების უნარებზე.

10. **ხშირი (საერთო) შეცდომები:** კურსანტმა-ინსტრუქტორმა უნდა ისწავლოს ხშირი შეცდომების ამოცნობა და მათი სათანადო გამოსწორება, ფრენის ნებისმიერ დროს.

11. **ფრენისას სწავლების პედაგოგიური პროცესი** მოიცავს:

ა) სწავლებისას პედაგოგიური მეთოდის პრაქტიკული განხორციელება;

ბ) პილოტ-კურსანტის/ ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის პედაგოგიური ურთიერთობის მართვა;

გ) მაკორექტირებელი ქმედების დაწყების ზღვრის პროგნოზირება და ამოცნობა;

დ) სიტყვიერად და/ან ვიზუალური ჩვენებით ხელმძღვანელობის სწავლა;

ე) იმიტირებული ვითარებების ზღვრები, გამოცდილების მიღების მიზნით;

ვ) ხმელეთზე და ფრენის განმავლობაში ზსხ-ს სისტემების მტყუნებების და უწყესივრობების იმიტირებასთან დაკავშირებული საფრთხეები.

12. **ტექნიკური ნაწილი** მოიცავს:

ა) ძალური დანადგარის სისტემის შემადგენელი კომპონენტები;

ბ) ორტაქტიანი და ოთხტაქტიანი ძრავის მუშაობის პრინციპი;

გ) საწვავთან დაკავშირებული წესები: შერჩევა, გამოყენება და შენახვა;

დ) ძრავის მტყუნების ხშირი მიზეზები და მტყუნების პრევენციის საშუალებები (ორტაქტიანი და ოთხტაქტიანი ძრავებისთვის);

ე) მწარმოებლის ტექნიკური მომსახურების რეკომენდაციები (ძრავა და პლანერი).



ინსტრუქტორის დამატებითი მომზადების დასრულების დასტური

შენიშვნა: წინამდებარე დოკუმენტი, სააგენტოში წარდგენისას, უნდა იყოს შევსებული ქართულ ენაზე. ინგლისური ენაზე თითოეული მოთხოვნის შესატყვისი მნიშვნელობები მოცემულია მარჯვენა სვეტში.

Important note: This document, when submitted to the Agency, must be completed in the Georgian language. Corresponding entries in English for each requirement are provided in the right-hand column.

| |
|--|
| მე, ქვემოთ ხელისმომწერი [მიუთითეთ სახელი და გვარი] , |
| სასწავლო ორგანიზაციის [მიუთითეთ სდ-ის დასახელება] სწავლების ხელმძღვანელი, |
| სერტიფიკატის ნომრით [მიუთითეთ სდ-ის სერტიფიკატის ნომერი] , |
| ზსხ-ს შემდეგ კლას(ებ)ზე პილოტის ინსტრუქტორის მომზადების უფლებამოსილებით : |

I, the undersigned *[with indicating name and surname]*,
training manager of the IULM training organization *[with specifying name]*,
with certificate number *[with indicating the certificate number]*,
authorized to conduct IULM training in the following class(es) of the ULM :

- კლასი 1 – მოტოდელტაპლანი
CLASS 1 – WEIGHT-SHIFT CONTROL AIRCRAFT
- კლასი 2 – თვითმფრინავი
CLASS 2 – AIRPLANE
- კლასი 3 – ავტოჟირი
CLASS 3 – AUTOGYRO
- კლასი 4 – ზემსუბუქი შვეულმფრენი
CLASS 4 – ULTRALIGHT HELICOPTER

ვადასტურებ, რომ ქვემოაღნიშნულმა პირმა, რომელიც არის : / I certify that the person named below, is :

| | | | |
|---|--|--|--|
| სახელი First Name: | | გვარი Family Name: | |
| დაბადების თარიღი Date of Birth: | | ზსხ-ს პილოტის მოწმობის ნომერი ULM License No.: | |

შემდეგი ინსტრუქტორის კვალიფიკაციის მფლობელი : / a holder of the following instructor qualification :

- სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2012 წლის 30 აგვისტოს №150 ბრძანებით დამტკიცებული „ავიასპეციალისტთა სერტიფიცირების წესების“ ან ჩიკაგოს კონვენციის პირველი დანართის (ANNEX 1 – PERSONNEL LICENSING) შესაბამისად გაცემულ თვითმფრინავის ან შვეულმფრენის პილოტის მოწმობას (ნომრით :) ფრენის ინსტრუქტორის მოქმედი ოსტატობით. / Pilot license (with specifying license number) with a valid FI (A) or FI (H) rating issued in accordance with the Order No. 150 of the Director of the LEPL – Civil Aviation Agency of Georgia of August 30, 2012 or the ANNEX 1 to the Chicago Convention (PERSONNEL LICENSING).
- ზსხ-ის **[მიუთითეთ კლასი]** კლასზე. / on ULM class *[with specifying class]*

| |
|---|
| [თარიღი]–დან [თარიღი]–მდე პერიოდში სრულად და დამაკმაყოფილებლად გაიარა დამატებითი მომზადება სხ-ის ფრენის ინსტრუქტორებისთვის ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის კვალიფიკაციის მისაღებად ან/და ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის კვალიფიკაციაში ზსხ-ის [მიუთითეთ კლასი] კლასის დამატებისთვის. |
|---|

[with specifying dates], has fully and satisfactorily completed additional training for flight instructors for the qualification of a IULM and/or for the addition of a *[with specifying class]* class of ULM to the ULM pilot license.



სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო
LEPL – CIVIL AVIATION AGENCY

ინსტრუქტორის დამატებითი მომზადების დასრულების დასტური
PROOF OF COMPLETION OF ADDITIONAL TRAINING OF INSTRUCTOR

ინფორმაცია მომზადებასთან დაკავშირებით
INFORMATION REGARDING THE TRAINING

| <u>პილოტის ინსტრუქტორის მასწავლებელ(ებ)ი</u> <u>TEACHERS FOR IULM TRAINING</u> | <u>მომზადების შინაარსი</u> <u>CONTENT OF TRAINING</u> |
|---|---|
| | <p>დამატებითი სწავლების მოცულობა (არანაკლებ — 20 სთ მე-4 კლასისთვის და არანაკლებ 10 სთ ზსხ-ს სხვა კლასებისთვის) :</p> <p>ADDITIONAL TRAINING DURATION <i>(not less than 20 hours for Class 4 and not less than 10 hours for other ULM classes):</i></p> |

თარიღი
Date:

თარიღი
Date:

სწავლების
ხელმძღვანელის სახელი,
გვარი და ხელმოწერა
NAME AND SURNAME OF
TRAINING MANAGER AND
SIGNATURE:

კანდიდატის სახელი,
გვარი და ხელმოწერა
NAME AND SURNAME OF
TRAINEE INSTRUCTOR AND
SIGNATURE:



სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო
LEPL – CIVIL AVIATION AGENCY

კურსანტი ინსტრუქტორის საწყისი მომზადების დასრულების დასტური
PROOF OF COMPLETION OF INITIAL TRAINING OF A STUDENT-INSTRUCTOR

დანართი №18

კურსანტი ინსტრუქტორის საწყისი მომზადების დასრულების დასტური

შენიშვნა: წინამდებარე დოკუმენტი, სააგენტოში წარდგენისას, უნდა იყოს შევსებული ქართულ ენაზე. ინგლისური ენაზე თითოეული მოთხოვნის შესატყვისი მნიშვნელობები მოცემულია მარჯვენა სვეტში.

Important note: This document, when submitted to the Agency, must be completed in the Georgian language. Corresponding entries in English for each requirement are provided in the right-hand column.

| |
|---|
| მე, ქვემოთ ხელისმომწერი [მიუთითეთ სახელი და გვარი], |
| სასწავლო ორგანიზაციის [მიუთითეთ სდ-ის დასახელება] სწავლების ხელმძღვანელი, |
| სერტიფიკატის ნომრით [მიუთითეთ სდ-ის სერტიფიკატის ნომერი], |
| ზსხ-ს შემდეგ კლას(ებ)ზე პილოტის ინსტრუქტორის მომზადების უფლებამოსილებით : |

I, the undersigned [with indicating name and surname],
training manager of the IULM training organization [with specifying name],
with certificate number [with indicating the certificate number],
authorized to conduct IULM training in the following class(es) of the ULM :

- კლასი 1 – მოტოდეტაპლანი
CLASS 1 – WEIGHT-SHIFT CONTROL AIRCRAFT
- კლასი 2 – თვითმფრინავი
CLASS 2 – AIRPLANE
- კლასი 3 – ავტოჟირი
CLASS 3 – AUTOGYRO
- კლასი 4 – ზემსუბუქი შვეულმფრენი
CLASS 4 – ULTRALIGHT HELICOPTER

ვადასტურებ, რომ ქვემოაღნიშნულმა პირმა : / I certify that the person named below, is :

| | |
|------------------------------------|---|
| სახელი First Name: | გვარი Family Name: |
| დაბადების თარიღი Date of Birth: | ზსხ-ს პილოტის მოწმობის ნომერი ULM License No.: |

[თარიღი]-დან [თარიღი]-მდე პერიოდში სრულად და დამაკმაყოფილებლად გაიარა ზსხ-ს კურსანტი ინსტრუქტორის საწყისი მომზადება, ზსხ-ს [მიუთითეთ კლასი] კლასისთვის.

has successfully and satisfactorily completed, during the period [with specifying dates], the initial training of a student-instructor for ULM class [with specifying class].

| ინფორმაცია მომზადებასთან დაკავშირებით INFORMATION REGARDING THE TRAINING | |
|---|---|
| პილოტის ინსტრუქტორის მასწავლებელ(ებ)ი TEACHERS FOR IULM TRAINING | მომზადების შინაარსი CONTENT OF TRAINING |
| | თეორიული სწავლების საათების რაოდენობა (არანაკლებ – 50 სთ) / Number of theoretical training hours (not less than 50 hours) : |
| | საფრენოსნო პრაქტიკული მომზადების საათების რაოდენობა (არანაკლებ – 25 სთ) / Number of flight practical training hours (not less than 25 hours) : |
| | საწყისი მომზადების პერიოდის ხანგრძლივობა (მიმდევრობით ან |



სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო
LEPL – CIVIL AVIATION AGENCY

კურსანტი ინსტრუქტორის საწყისი მომზადების დასრულების დასტური
PROOF OF COMPLETION OF INITIAL TRAINING OF A STUDENT-INSTRUCTOR

ჯამურად არ უნდა იყოს 5 კვირაზე
ნაკლები) / Duration of the initial
training period (either consecutive or
cumulative, must not be less than 5
weeks) :

თარიღი
Date:

თარიღი
Date:

სწავლების
ხელმძღვანელის სახელი,
გვარი და ხელმოწერა
NAME AND SURNAME OF
TRAINING MANAGER AND
SIGNATURE:

კურსანტი
ინსტრუქტორის
სახელი, გვარი და
ხელმოწერა
NAME AND SURNAME OF
STUDENT-INSTRUCTOR
AND SIGNATURE



სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო
LEPL – CIVIL AVIATION AGENCY

ინსტრუქტორობის კანდიდატის პედაგოგიური მომზადების დასრულების დასტური
PROOF OF COMPLETION OF PEDAGOGICAL TRAINING OF TRAINEE INSTRUCTOR

დანართი №19

ინსტრუქტორობის კანდიდატის პედაგოგიური მომზადების დასრულების დასტური

შენიშვნა: წინამდებარე დოკუმენტი, სააგენტოში წარდგენისას, უნდა იყოს შევსებული ქართულ ენაზე. ინგლისური ენაზე თითოეული მოთხოვნის შესატყვისი მნიშვნელობები მოცემულია მარჯვენა სვეტში.

Important note: This document, when submitted to the Agency, must be completed in the Georgian language. Corresponding entries in English for each requirement are provided in the right-hand column.

| |
|---|
| მე, ქვემოთ ხელისმომწერი [მიუთითეთ სახელი და გვარი], |
| სასწავლო ორგანიზაციის [მიუთითეთ სდ-ის დასახელება] სწავლების ხელმძღვანელი, |
| სერტიფიკატის ნომრით [მიუთითეთ სდ-ის სერტიფიკატის ნომერი], |
| ზსხ-ს შემდეგ კლას(ებ)ზე პილოტის ინსტრუქტორის მომზადების უფლებამოსილებით : |

I, the undersigned [with indicating name and surname],

training manager of the IULM training organization [with specifying name],

with certificate number [with indicating the certificate number],

authorized to conduct IULM training in the following class(es) of the ULM :

- კლასი 1 – მოტოდელტაპლანი
CLASS 1 – WEIGHT-SHIFT CONTROL AIRCRAFT
- კლასი 2 – თვითმფრინავი
CLASS 2 – AIRPLANE
- კლასი 3 – ავტოჟირი
CLASS 3 – AUTOGYRO
- კლასი 4 – ზემსუბუქი შვეულმფრენი
CLASS 4 – ULTRALIGHT HELICOPTER

ვადასტურებ, რომ ქვემოაღნიშნულმა პირმა, რომელიც არის : / I certify that the person named below, is :

| | | | |
|------------------------------------|--|---|--|
| სახელი First Name: | | გვარი Family Name: | |
| დაბადების თარიღი Date of Birth: | | ზსხ-ს პილოტის მოწმობის ნომერი ULM License No.: | |

[თარიღი]-დან [თარიღი]-მდე პერიოდში სრულად და დამაკმაყოფილებლად გაიარა ზსხ-ს ინსტრუქტორობის კანდიდატის პედაგოგიური მომზადება ზსხ-ს [მიუთითეთ კლასი] კლასისთვის და დაშვებულია კომპეტენციის შეფასების ჩასაბარებლად.

has fully and satisfactorily completed, during the period [with specifying dates], the pedagogical training of trainee instructor for class [with specifying class], and is authorized to undergo the competency assessment.

ინფორმაცია მომზადებასთან დაკავშირებით
INFORMATION REGARDING THE TRAINING

| პილოტის ინსტრუქტორის მასწავლებელ(ებ)ი TEACHERS FOR IULM TRAINING | მომზადების შინაარსი CONTENT OF TRAINING |
|---|--|
| | ზსხ-ის პილოტ-კურსანტისთვის ჩატარებული საფრენოსნო პრაქტიკული მომზადების საათების რაოდენობა (არანაკლებ — 20 სთ) / Number of flight practical training hours conducted for the ULM student-pilot (not less than 20 hours): |



სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო
LEPL – CIVIL AVIATION AGENCY

ინსტრუქტორობის კანდიდატის პედაგოგიური მომზადების დასრულების დასტური
PROOF OF COMPLETION OF PEDAGOGICAL TRAINING OF TRAINEE INSTRUCTOR

დამოუკიდებლად ფრენის
შესრულების ეტაპამდე
მომზადებული უსს-ის პილოტ-
კურსანტ(ებ)ის რაოდენობა
(არანაკლებ – 1) / Number of ULM
student-pilots prepared up to the stage of
solo flight (not less than 1):

თარიღი

Date:

თარიღი

Date:

სწავლების
ხელმძღვანელის სახელი,
გვარი და ხელმოწერა
NAME AND SURNAME OF
TRAINING MANAGER AND
SIGNATURE:

კურსანტი
ინსტრუქტორის
სახელი, გვარი და
ხელმოწერა
NAME AND SURNAME OF
TRAINEE INSTRUCTOR AND
SIGNATURE:

1. ზსხ-ს პირველი კლასის (მოტოდელტაპლანი) პილოტის ინსტრუქტორის მომზადების პროგრამის შინაარსი

შენიშვნა: ამ დანართში განსაზღვრული სავარჯიშოების თანმიმდევრობა, შესაძლებელია არ შეესაბამებოდეს ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის მომზადებისას არსებულ თანმიმდევრობას და წარმოადგენს სახელმძღვანელო დოკუმენტს მომზადების განხორციელების ორგანიზებისათვის.

სავარჯიშო 1: ზსხ-ს გაცნობა

სავარჯიშო 2: ფრენის მომზადება და ფრენის შემდგომი მოქმედებები

სავარჯიშო 3: გაცნობითი ფრენა

სავარჯიშო 4: მართვის თავდაპირველი სწავლება

სავარჯიშო 5: ტრაექტორიების ცვლილება და მათი დაცვა

სავარჯიშო 6: მოხვევების შესწავლა

სავარჯიშო 7: დაბალი სიჩქარით ფრენა და და ნაკადწყვეტა (Stall)

სავარჯიშო 8: ფრენის წრე (Circuit)

სავარჯიშო 9: დაფრენა

სავარჯიშო 10: უნარების განვითარება / ძრავის მტყუნება (ფრენის ნებაყოფლობითი შეწყვეტა)

სავარჯიშო 11: პირველი დამოუკიდებელი ფრენა

სავარჯიშო 12: პირველი დამოუკიდებელი ფრენის შემდეგ უნარების გაუმჯობესება

სავარჯიშო 13: ნაოსნობა

ზსხ-ს პილოტის მოწმობის გაცემის შემდგომი სწავლება

სავარჯიშო 14: უნარ-ჩვევების განვითარება და კომპეტენციის შენარჩუნება

სავარჯიშო 15: მგზავრთან ერთად ფრენა

1. ზსხ-ს მეორე კლასის (თვითმფრინავი) პილოტის ინსტრუქტორის მომზადების პროგრამის შინაარსი

შენიშვნა: ამ დანართში განსაზღვრული სავარჯიშოების თანმიმდევრობა, შესაძლებელია არ შეესაბამებოდეს ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის მომზადებისას არსებულ თანმიმდევრობას და წარმოადგენს სახელმძღვანელო დოკუმენტს მომზადების განხორციელების ორგანიზებისათვის.

| სავარჯიშო 1: ზსხ-ს გაცნობა | | | |
|--|--|---|--|
| მიზნები | სავარჯიშოსთან დაკავშირებული სპეციფიკა და რისკები | სავარჯიშოს თეორიული ნაწილი: ვრცელი ინსტრუქტაჟი | სამუშაო სავარჯიშო |
| <ul style="list-style-type: none"> ▪ საფრენი აპარატის გაცნობა; ▪ საფრენი აპარატის მოწყობის გაცნობა: საფრენოსნო ეკიპაჟის კაბინა, პლანერი, ძალური დანადგარის სისტემა; ▪ ზსხ-ის სისტემების, ძრავისა და საავარიო პარამუტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიმოხილვა; ▪ საკონტროლო ბარათები, მნიშვნელოვანი მოქმედებები, სავარჯიშოები და ფრენის მართვის საშუალებები. | <ul style="list-style-type: none"> ▪ სიფრთხილის ზომები ზსხ-ს ხმელეთზე მართვისას, მათ შორის ფრთის გაქანისა და უსაფრთხო მანძილის გათვალისწინება; ▪ უსაფრთხოება საჰაერო ხრახნის მუშაობისას და მისი მართვისას; ▪ ზოგადი რუტინული სიფრთხილის ზომები; ▪ სიფრთხილის ზომები საჰაერო ხრახნის მექანიკურად (ხელით) მობრუნებამდე და მობრუნების პროცესში. | <ul style="list-style-type: none"> ▪ ზსხ-ს ექსპლუატაციის სახელმძღვანელო წინასწარ უნდა გადაეცეს კურსანტ ინსტრუქტორს; ▪ ინსტრუქტორის სავარძლის განლაგებასთან დაკავშირებული განსხვავებები (უკანა ან მარჯვენა სავარძელი ზსხ-ს სავარძელთა კონფიგურაციის გათვალისწინებით): ჯდომის პოზიცია და ხედვის არე, გარკვეულ მართვის საშუალებებზე ნაწილობრივი წვდომა, როგორებიცაა მუხრუჭები, დროსელის ბერკეტები, სტარტერი, რადიო და ა.შ. (ზსხ-ს მოდელის შესაბამისად); ▪ საავარიო მდგომარეობაში მოქმედების პროცედურები: <ul style="list-style-type: none"> ○ ხმელეთზე ან ფრენისას ხანძრის შემთხვევაში მოქმედებები, როგორებიცაა ხანძარი ძრავში, ხანძარი ზსხ-ში ან ელექტრული ხანძარი; ○ სპეციფიკური სისტემების მტყუნება (ტრიმერი, ფრთაუკანები, დროსელის ბერკეტი, მუხრუჭები); ○ ევაკუაციის სავარჯიშოები: საავარიო აღჭურვილობის, როგორებიცაა წინა და უკანა წრედის მცველები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ორი სამართის მქონე საავარიო პარამუტის (უსაფრთხოების სარჭი (Safety pin)), მდებარეობა და მისი გამოყენება. | <p>საფრენოსნო კაბინის ინსტრუქტაჟის შესრულება საკლასო გარემოში, სწავლების ხელმძღვანელის მიერ აღნიშნულის ჩვენება ზსხ-ზე და კანდიდატის მიერ მისი გამეორება.</p> |
| მნიშვნელოვანი საკითხები | ამ ფაზაში სავარჯიშოების წარმატებით დასრულება საჭიროებს ზსხ-ს ექსპლუატაციის სახელმძღვანელოს საფუძვლიან ცოდნას. | | |
| შესრულებული სამუშაოს თანმიმდევრობის ინსტრუქტაჟი (ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის მასწავლებელი/ ინსტრუქტორობის კანდიდატი) საშიშროებების და შეცდომების მართვა (TEM) | მიღებული ცოდნის გამოყენების ზეპირსიტყვიერად შემოწმება, მასწავლებლის მიერ; საჭიროების შემთხვევაში, გამოსასწორებელი ქმედებების განსაზღვრა. | | |

| სავარჯიშო 2: ფრენის მომზადება და ფრენის შემდგომი მოქმედებები | | | |
|--|--|--|-------------------|
| მიზნები | სავარჯიშოსთან დაკავშირებული სპეციფიკა და რისკები | სავარჯიშოს თეორიული ნაწილი: ვრცელი ინსტრუქტაჟი | სამუშაო სავარჯიშო |

| | | | |
|---|--|---|--|
| <p>ფრენამდე საჭირო ყველა წინასწარი შემოწმების საფუძვლიანი გააზრება.</p> | <p>უსაფრთხოების ზომები ყველა მონაწილისთვის: აალება (ანთება) გამორთულია, მაგნიტოები გამორთულია, გასაღები ამოღებულია ბუდიდან.</p> | <p>ზსხ-ს ექსპლუატაციის სახელმძღვანელო წინასწარ უნდა გადაეცეს კურსანტ ინსტრუქტორს.</p> | <ul style="list-style-type: none"> ▪ ფრენისწინა და ფრენის შემდგომი შემოწმებების ჩატარების პედაგოგიური მეთოდოლოგიის შესწავლა; ▪ პილოტ-კურსანტისთვის ფრენისწინა პედაგოგიური შემოწმების ჩატარება კომენტარებით (სწავლების ხელმძღვანელი ასრულებს პილოტ-კურსანტის როლს); ▪ პილოტ-კურსანტისთვის ფრენის შემდგომი მოქმედებების ჩატარება კომენტარებით (სწავლების ხელმძღვანელი ასრულებს პილოტ-კურსანტის როლს). |
| <p>მნიშვნელოვანი პედაგოგიური საკითხები</p> | <ul style="list-style-type: none"> ▪ ეს სავარჯიშო არ შემოიფარგლება მხოლოდ ზსხ-ს ფრენის უნარიანობის ტექნიკური ან ადმინისტრაციული მხარის შემოწმებით. ▪ სავარჯიშოს უმთავრესი მიზანია პილოტ-კურსანტს გაუთავისოს თავისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა, როდესაც მოქმედებს ზსხ-ს მეთაურის რანგში და მოამზადოს კურსანტი სათანადო და ეფექტური ფრენისწინა და ფრენის შემდგომი შემოწმებების განსახორციელებლად, ასევე, გააცნოს კურსანტს ამ შემოწმებების მეთოდური და დისციპლინირებული შესრულების აუცილებლობა. | | |
| <p>შესრულებული სამუშაოს თანმიმდევრობის ინსტრუქტაჟი (ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის მასწავლებელი/ ინსტრუქტორობის კანდიდატი) სამიშროებების და შეცდომების მართვა (TEM)</p> | <ul style="list-style-type: none"> ▪ კომენტარების თანმიმდევრულობა; ▪ მიწოდებული ინფორმაციის შესაბამისობა და სიზუსტე; ▪ ფრენისწინა შემოწმებისას უსაფრთხოების ზომების დაცვა; ▪ ზსხ-ს ტექნიკური ცოდნა; ▪ ინსტრუქტორობის კანდიდატის პედაგოგიური და ტექნიკური ხარისხის შეფასება და მისი გავლენა უსაფრთხოებაზე; ▪ საჭიროების შემთხვევაში, გამოსასწორებელი ქმედებების განსაზღვრა. | | |

| სავარჯიშო 3: გაცნობითი ფრენა | | | |
|---|--|--|-------------------|
| მიზნები | სავარჯიშოსთან დაკავშირებული სპეციფიკა და რისკები | სავარჯიშოს თეორიული ნაწილი: ვრცელი ინსტრუქტაჟი | სამუშაო სავარჯიშო |
| <p>კურსანტ ინსტრუქტორს საშუალება მიეცეს გაეცნოს ზსხ-ს, ეკიპაჟის სამუშაო გარემოს და გააცნობიეროს უსაფრთხოების ძირითადი მოთხოვნები.</p> | <ul style="list-style-type: none"> ▪ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები; ▪ პილოტ-კურსანტისა და ინსტრუქტორის აღნაგობის გათვალისწინებით, მათ მიერ ზსხ-ს მართვის ყველა საჭირო საშუალებასთან (მათი მოძრაობის სრული დიაპაზონის ფარგლებში) წვდომის და ხილვადობის შემოწმება (უსაფრთხოების ღვედები შეკრულ მდგომარეობაში). | <ul style="list-style-type: none"> ▪ აეროდრომისა და საჰაერო მოძრაობის მართვის (ATC) პროცედურების ცოდნა; ▪ ზსხ-ს, მისი ხელსაწყოების და საავარიო პარაშუტის (თუ დამონტაჟებულია) ცოდნა; ▪ სპეციფიკური საექსპლუატაციო პროცედურები; ▪ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები; <p>შენიშვნა: ამ სავარჯიშოსთვის ვრცელი ინსტრუქტაჟი არ მოითხოვება.</p> | <p>Nil.</p> |
| <p>მნიშვნელოვანი პედაგოგიური საკითხები</p> | <p>ამ ფრენის მიზანია, ინსტრუქტორობის კანდიდატს შესძინოს კომპეტენციის ისეთი დონე, რაც მას საშუალებას მისცემს, ინსტრუქტორის სავარძლიდან დამოუკიდებლად მართოს ზსხ.</p> | | |
| <p>შესრულებული სამუშაოს თანმიმდევრობის ინსტრუქტაჟი (ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის მასწავლებელი/ ინსტრუქტორობის კანდიდატი) სამიშროებების და შეცდომების მართვა (TEM)</p> | <p>სავარჯიშოს მიზნების შესრულების დონის შეფასება.</p> | | |

სავარჯიშო 4: მართვის თავდაპირველი სწავლება

| მიზნები | სავარჯიშოსთან დაკავშირებული სპეციფიკა და რისკები | სავარჯიშოს თეორიული ნაწილი: ვრცელი ინსტრუქტაჟი | სამუშაო სავარჯიშო |
|---|--|---|---|
| <ul style="list-style-type: none"> მართვის საშუალებებზე ზემოქმედების ინტენსივობის და მიმართულებების გააზრება; ძალური დანადგარის სიმძლავრის მართვა (კონტროლი). | <p>მესაფერისი აეროლოგიური (ამინდის) პირობები.</p> | <ul style="list-style-type: none"> ამწევი ძალა, მისი შემადგენელი ელემენტები და მათი პრაქტიკული გამოყენება; ზსხ-ზე მოქმედი ძალების ხაზგასმა; ძირითადი საფრენისნო პარამეტრების განმარტება (ტანგაჟი (Pitch), დაფერდება (Roll), მიმობრუნება (Yaw), პლანირების კუთხე (Gliding angle), პარამეტრის ცვლილების სიჩქარე და სხვ.); ფრენის სხვადასხვა რეჟიმის გაგება და მისი გამოყენება; მართვის საშუალებების კოორდინირებული გამოყენება და ასიმეტრიულობების კორექტირება. | <ul style="list-style-type: none"> ჰორიზონტისა და სახმელეთო ორიენტირების გამოყენებით არჩეული ტრაექტორიით დამყარებული ფრენა (Level flight); მუდმივი სიჩქარით ფრენა; დამყარებული ფრენის შენარჩუნება; კურსის შენარჩუნება; სამიზნე სიჩქარისა და სიმაღლის შენარჩუნება; ტანგაჟის კუთხის მდგომარეობის (Pitch attitude) შენარჩუნება; სტაბილიზებული ფრენა სხვადასხვა დახრილობის (Slope) პირობებში; სიმაღლის ალების, ჰორიზონტალურად გასწორების და სიმაღლიდან დაშვების ტრაექტორიების ციკლი; მოქმედებათა თანმიმდევრობა (მართვის საშუალებებზე ზემოქმედების სწორი თანმიმდევრობა); კოორდინირებული ფრენის შენარჩუნება (ზსხ-ს ფრენის სიმეტრიულობის შენარჩუნება). |
| <p>მნიშვნელოვანი პედაგოგიური საკითხები</p> | <p>ამ ფაზის მიზანია პილოტ-კურსანტმა თანდათანობით შეძლოს ყველა პარამეტრის მართვა, რათა შეინარჩუნოს სტაბილური და ნომინალური (აჩქარების გარეშე) ფრენის ტრაექტორია.</p> <p>ინსტრუქტორი ყურადღებით უნდა დააკვირდეს:</p> <ul style="list-style-type: none"> ნებისმიერ გადახრას და მათ სიდიდეს; კურსანტის ინფორმირებულობას ამ გადახრასთან დაკავშირებით; რეაქციის დროს გადახრის ამოცნობასა და გამოსასწორებელი ქმედების დაწყებას შორის; გამოსასწორებელი ქმედებისას ზსხ-ს მართვაზე ზემოქმედების (Input) მიმართულებას და მის ამპლიტუდას. | | |
| <p>შესრულებული სამუშაოს თანმიმდევრობის ინსტრუქტაჟი (ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის მასწავლებელი/ ინსტრუქტორობის კანდიდატი) საშიშროებების და შეცდომების მართვა (TEM)</p> | <ul style="list-style-type: none"> გარე ვიზუალური ორიენტირების და ზსხ-ს ხელსაწყოების შესწავლა და მათი გამოყენება; თვითმფრინავის მართვის თითოეული ღერძის მიმართ მოქმედების ეფექტის და ეფექტურობის შესწავლა; თვითმფრინავის ინერციულობით გამოწვეული დაგვიანებები მართვის ზედაპირებზე ზემოქმედებისას; ინფორმაციის ერთ წყაროზე (ორიენტირი/ხელსაწყო) ყურადღების ფოკუსირების აცილება და არსებული გარემო-პირობების გაცნობიერების შენარჩუნება; გარე ვიზუალური ორიენტირების უპირატესობა თვითმფრინავის ხელსაწყოებთან შედარებით; თვითმფრინავის სივრცული მდგომარეობის ამოცნობა და ვიზუალიზაცია; თვითმფრინავის სივრცული მდგომარეობის ცვლილების აღმოჩენა (ტანგაჟი; დაფერდება; პლანირების კუთხე; ძრავის მუშაობის რეჟიმი); ფრენის დაგეგმილი ტრაექტორიიდან გადახრების კორექტირება; | | |

| | |
|--|--|
| | <ul style="list-style-type: none"> ▪ ზედმეტი კორექტირების თავიდან აცილება (მართვაზე ზემოქმედების ნორმირებაში დახმარება; ზსხ-ს სივრცული მდგომარეობის სათანადო ორიენტირების შეცნობაში დახმარება.) |
|--|--|

სავარჯიშო 5: ტრაექტორიების ცვლილება და მათი დაცვა

| მიზნები | სავარჯიშოსთან დაკავშირებული სპეციფიკა და რისკები | სავარჯიშოს თეორიული ნაწილი: ვრცელი ინსტრუქტაჟი | სამუშაო სავარჯიშო |
|--|--|---|---|
| <ul style="list-style-type: none"> ▪ თვითმფრინავის სხვადასხვა კონფიგურაციისა და ფრენის საჭიროებების დაუფლება, მეტეოროლოგიური პირობების გათვალისწინებით; ▪ მართვის პირველად ზედაპირებზე ზემოქმედება და ამით გამოწვეული გვერდითი (მეორეული) მოვლენების შესწავლა და დაუფლება. | <ul style="list-style-type: none"> ▪ შესაფერისი აეროლოგიური (ამინდის) პირობები; ▪ ქარი მისაღებია მხოლოდ სტაბილურობის შემთხვევაში; ▪ ჰაერის მასის ვერტიკალური მოძრაობა მინიმალურია (სიმაღლის შერჩევასა ამ საკითხის გათვალისწინება). | <ul style="list-style-type: none"> ▪ შეტევის კუთხის (AOA) – საჰაერო სიჩქარის ურთიერთკავშირი; ▪ თვითმფრინავის ტანგაჟირებისას წარმოქმნილი მატრუნი მომენტები; ▪ საჰაერო ხრახნის სპირალური ჭავლი (Slipstream); ▪ მოძრავ სიტხეში (ქარი) გადაადგილებასთან დაკავშირებული თავისებურებების ახსნა-განმარტება; ▪ მნიშვნელოვანი მოქმედებები და ინსტრუქტაჟი აფრენამდე; ▪ მიმობრუნების ტენდენციები (Yaw effects). | <ul style="list-style-type: none"> ▪ აფრენა და ასაფრენ-დასაფრენი ზოლის ღერძის მიმართ სისწორის შენარჩუნება; ▪ ჰორიზონტალური გასწორება (Leveling off) და ტრაექტორიის ცვლილება; ▪ დამყარებულ სიმაღლეზე ფრენისას (Level flight) სიჩქარის დიაპაზონის შესწავლა; ▪ ძრავის თანაბარი სიმძლავრის პირობებში ტანგაჟისა და პლანირების (Climb/ Descent) გრადიენტის ცვლილება; ▪ ძრავის სიმძლავრის ოპტიმალური მართვა (უცვლელი სიჩქარით ფრენა (Constant-speed flight)); ▪ სიმაღლეზე ასვლა (Climb) და სიმაღლიდან დაშვების (Descent) სხვადასხვა სიჩქარის შესწავლა; ▪ სხვადასხვა გვერდითი (მეორეული) მოვლენის შესწავლა; ▪ დაგეგმილი სახმელეთო კურსის შენარჩუნება სრიალის კორექტირებით (ზსხ-ს მიმართულების (Heading) შენარჩუნება); ▪ მცირე დაფერდებით მოხვევები (Shallow banked turn) (უსაფრთხოება; საჰაერო სივრცის შემოწმება; სწორი შესრულება; სტაბილიზება); ▪ დაგეგმილი კურსით ფრენის შესრულება, რომელიც საჭიროებს ტრაექტორიის მრავალჯერ ცვლილებას; ▪ ფრენის ყველა მაჩვენებლის მონიტორინგი (საჰაერო სიჩქარე; ბურთულა; სრიალის მაჩვენებელი ნართი (ძაფი) (Yaw string); სიმაღლის მაჩვენებელი; საწვავი; ტემპერატურა; ძრავის ბრუნთა რიცხვი და სხვ.). |
| <p>მნიშვნელოვანი პედაგოგიური საკითხები</p> | <ul style="list-style-type: none"> ▪ ამ ფაზაში წარმატების მისაღწევად საჭიროა რამდენიმე პარამეტრის ერთდროულად მართვა (ხელსაწყოთა ვიზუალური სკანირების წრე (Instrument scan)); ▪ ინსტრუქტორმა ამ ეტაპზე უნდა შეაფასოს პილოტ-კურსანტის ყურადღების ეფექტურად განაწილებისა და გადატანის უნარი, რაც აუცილებელი პირობაა სამომავლო განვითარებისთვის (პროგრესისთვის). | | |

| | |
|---|---|
| <p>შესრულებული სამუშაოს თანმიმდევრობის ინსტრუქტაჟი (ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის მასწავლებელი/ ინსტრუქტორობის კანდიდატი) საშიშროებების და შეცდომების მართვა (TEM)</p> | <ul style="list-style-type: none"> ▪ პილოტ-კურსანტი თავისუფალია ფრენების ბუნებრივი ადრული შიშისგან; ▪ გააზრება: ფრენა გარეთ ყურებით (უსაფრთხოება და მოლოდინი); ▪ რამდენიმე პარამეტრზე (მაჩვენებლებზე) დაკვირვება და მათი მართვა; ▪ ყურადღების განაწილება (ხელსაწყოთა ვიზუალური სკანირების წრე (Instrument scan)); ▪ ძრავის მიერ გამოწვეული ეფექტების მართვა და გამოსწორება; ▪ მატრუნი მომენტებით გამოწვეული ეფექტების აღქმა და გამოსწორება, დაფერდებისა და მიმობრუნების დერძების კოორდინირება; ▪ მართვის საშუალებებზე ზემოქმედებების თანმიმდევრობის, მიმართულებისა და ინტენსივობის კარგად ფლობა. |
|---|---|

სავარჯიშო 6: მოხვევების შესწავლა

| მიზნები | სავარჯიშოსთან დაკავშირებული სპეციფიკა და რისკები | სავარჯიშოს თეორიული ნაწილი: ვრცელი ინსტრუქტაჟი | სამუშაო სავარჯიშო |
|--|---|---|---|
| <ul style="list-style-type: none"> ▪ მიმართულების ცვლილება დამყარებულ სიმაღლეზე ფრენისას (Level flight), სიმაღლის აღებისას და სიმაღლიდან დაშვებისას; ▪ მოხვევის შესწავლა სირთულის თანდათანობითი გაზრდით. | <ul style="list-style-type: none"> ▪ შესაფერისი აეროლოგიური (ამინდის) პირობები; ▪ საჰაერო სივრცის ვიზუალური დათვალიერება (მონიტორინგი). | <ul style="list-style-type: none"> ▪ მოხვევისას ძალთა გამოყენება და მათი განაწილება; ▪ დატვირთვის კოეფიციენტი (Load factor) და მისი ზემოქმედება (ზსხ-ს სტრუქტურული მედეგობის საზღვრები; ზსხ-ს და პილოტის დადლილობა); ▪ გვერდითი (მეორეული) მოვლენები – უკუმიმობრუნება (Adverse yaw); მომიბრუნებით გამოწვეული დაფერდება (Yaw-induced roll); დაფერდებით გამოწვეული მიმობრუნება (Roll-induced yaw); და ა.შ.; ▪ საფრთხეები მობრუნებისას (ასიმეტრიულობა (Uncoordinated turn), მოხვევა ჭარბი დაფერდებით (Overbanked turn)), საჰაერო სიჩქარის გათვალისწინება დატვირთვის კოეფიციენტთან მიმართებაში. | <ul style="list-style-type: none"> ▪ მოხვევასთან დაკავშირებული გვერდითი (მეორეული) მოვლენების შესწავლა; ▪ დამყარებულ სიმაღლეზე სხვადასხვა დაფერდებით მოხვევა (არაუმეტეს 45°); ▪ დამყარებულ სიმაღლეზე მოხვევები უცვლელი დაფერდების კუთხით, უცვლელი მოხვევის სიჩქარით, უცვლელი საჰაერო სიჩქარით, და უცვლელი სიმაღლით; ▪ მოხვევის დასრულებისას განსაზღვრული კურსით ზუსტი გასწორება; ▪ მოხვევები სიმაღლის აღებისას და სიმაღლიდან დაშვებისას; ▪ მარცხნივ/ მარჯვნივ მობრუნებების თანმიმდევრული შესრულება; ▪ მოხვევები სახმელეთო კურსის უცვლელად შენარჩუნებით; ▪ სრიალი მოხვევისას (Slipping turn) და მოცურება მოხვევისას (Skidding turn), საწყისი/საწყის ეტაპზე განვითარებული სპირალის (Spiral) ვარჯიში, პრევენცია და გამოსწორება; ▪ ფრენის შესრულება აფრენიდან აეროდრომის/ საფრენი მოედნის ფრენის წრეში შესვლის წერტილამდე. |
| <p>მნიშვნელოვანი პედაგოგიური საკითხები</p> | <ul style="list-style-type: none"> ▪ გაითვალისწინეთ გონებრივი გადატვირთვა, რომელიც შესაძლებელია სწრაფად მოხდეს მოხვევების შესწავლის პირველი სავარჯიშოების დროს. რადგან ამ ფაზის შინაარსი განსაკუთრებით დატვირთულია, იგი თანდათანობით უნდა მიეწოდოს პილოტ-კურსანტს, როგორცაა: სხვადასხვა სავარჯიშოში ერთ-ერთ ელემენტად ინტეგრირება, რომლის დროსაც მოხვევების შესწავლა ხდება სხვა ტიპის მანევრებთან ერთად. ▪ მოხვევების სწავლების ფაზის ბოლოს, უფრო რთულ აეროლოგიურ პირობებში ჩატარებული რამდენიმე ფრენა დაეხმარება პილოტ-კურსანტს დაადასტუროს, რომ იგი სათანადოდ აღიქვამს გარემო-პირობებს და ამასთანავე დამაკმაყოფილებლად მართავს თვითმფრინავს, ვიდრე მოხდება წრეზე ფრენის სავარჯიშოების დაიწყება, სადაც არსებულ პირობებს ემატება სტრესიც (დატვირთვა). გარდა ამისა, აუცილებელია, რომ სტუდენტმა ფრენა დაიწყოს ნორმალურ აეროლოგიურ პირობებში — არ არის საჭირო სირთულის განზრახ ძიება, არამედ საჭიროა მისი თანდათანობით გაზრდა. | | |

| | |
|--|--|
| <p>შესრულებული სამუშოს თანმიმდევრობის ინსტრუქტაჟი (ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის მასწავლებელი/ ინსტრუქტორობის კანდიდატი) სამიშროებების და შეცდომების მართვა (TEM)</p> | <ul style="list-style-type: none"> ▪ ფრენის ტრაექტორიის უსაფრთხოება და მოლოდინი; ▪ ყურადღების განაწილება და მართვისათვის საჭირო მოქმედებების კოორდინაცია; ▪ მოხვევის შესრულებისთვის აუცილებელი პარამეტრების მანევრირების დაწყებამდე წინასწარი შემოწმება; ▪ მართვის საშუალებებზე ზომიერი ზემოქმედებების გამოყენება; ▪ გვერდითი (მეორეული) მოვლენების კორექტირება; ▪ მოხვევის სიჩქარის, სიმაღლისა და საჰაერო სიჩქარის აღქმა და შენარჩუნება; ▪ ფრენის არეში სახმელეთო ვიზუალური ორიენტირების შერჩევა; ▪ მოხვევის მანევრის დასრულების წინასწარი მოლოდინი; ▪ უცვლელი სიჩქარით მოხვევისთვის თვითმფრინავის მართვის საშუალებებზე ზემოქმედების სიდიდე და მისი შენარჩუნება, მომდევნო მოქმედების მოლოდინთან ერთად, პილოტ-კურსანტის დამოუკიდებლად ფრენისკენ პროგრესის ძირითადი მაჩვენებლებია. |
|--|--|

სავარჯიშო 7: დაბალი სიჩქარით ფრენა და ნაკადწყვეტა (Stall)

| მიზნები | სავარჯიშოსთან დაკავშირებული სპეციფიკა და რისკები | სავარჯიშოს თეორიული ნაწილი: ვრცელი ინსტრუქტაჟი | სამუშაო სავარჯიშო |
|--|--|---|--|
| <ul style="list-style-type: none"> ▪ ნაკადწყვეტის მაფრთხილებელი ნიშნების აღქმა და ამოცნობა; ▪ თვითმფრინავის ფრენა მაღალ შეტევის კუთხეებზე და რთულ სიტუაციებში თვითმფრინავის მართვის შენარჩუნება. | <ul style="list-style-type: none"> ▪ საკმარისი სიმაღლე უსაფრთხოებისთვის; ▪ სხვა საჰაერო ხომალდების არყოფნა სიახლოვეს (განსაკუთრებით ზსხ-ს ქვემოთ); ▪ თვითმფრინავის არასტაბილურობა. | <ul style="list-style-type: none"> ▪ ნაკადწყვეტის შესწავლა (ამწევი ძალის კოეფიციენტისა და შეტევის კუთხის ურთიერთდამოკიდებულების გრაფიკი) და განმსაზღვრელი კრიტერიუმი; ▪ ფრენა მეორე რეჟიმში; ▪ სხვადასხვა სახის ნაკადწყვეტები (სტატიკური, დინამიკური); ▪ მაღალი შეტევის კუთხეებით ფრენასთან დაკავშირებული რისკები (სიმაღლის კარგვა, ასიმეტრია). | <ul style="list-style-type: none"> ▪ დამყარებულ სიმაღლეზე ფრენა მინიმალური სიჩქარით (Cz max.); ▪ ფრენა მეორე რეჟიმში (ძრავის სიმძლავრის შენარჩუნება და თვითმფრინავის ცხვირის მდგომარეობის დაკვირვება (Sinking)); ▪ ნაკადწყვეტის დაწყების ნიშნების ამოცნობა; ▪ ნაკადწყვეტა დამყარებულ სიმაღლეზე ფრენისას (სტატიკური ნაკადწყვეტა); ▪ ნაკადწყვეტა სიმაღლის აღებისას; ▪ ნაკადწყვეტა თვითმფრინავის მოხვევისას (თუ ზსხ შესაფერისია ამ სავარჯიშოსთვის); ▪ ნაკადწყვეტისას დაკარგული სიმაღლის შეფასება და მისი კონტროლი. |
| <p>მნიშვნელოვანი პედაგოგიური საკითხები</p> | <ul style="list-style-type: none"> ▪ პილოტ-კურსანტის დაძაბულობის (შიში და სტრესი) მოხსნა ნაკადწყვეტისას; ▪ უსაფრთო სიმაღლის შენარჩუნების დაცვა; ▪ უსაფრთხოების უზრუნველყოფა თვითმფრინავის ზემოთ და ქვემოთ არსებულ საჰაერო სივრცეში; ▪ სავარჯიშოების სირთულის თანდათანობით გაზრდა; ▪ ფრენისას მაჩვენებლების აღქმა და მისი გაანალიზება; ▪ ნაკადწყვეტის დაწყებისას თვითმფრინავის ცხვირის დაშვების ამოცნობა და მისი მიყოლა; ▪ ფრენის ტრაექტორიის შენარჩუნება და ნაკადწყვეტის მშვიდად გამოსწორება. | | |
| <p>შესრულებული სამუშოს თანმიმდევრობის ინსტრუქტაჟი (ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის მასწავლებელი/ ინსტრუქტორობის კანდიდატი) სამიშროებების და შეცდომების მართვა (TEM)</p> | <ul style="list-style-type: none"> ▪ სიტყვიერი მითითებები; ▪ გამოსაწორებელი მოქმედებების დასაწყისი (ზღურბლი); ▪ პილოტ-კურსანტის არავერბალურად დახმარება და კომუნიკაცია; ▪ აღმოჩენილი აეროდინამიკული მოვლენების ანალიზი. | | |

სავარჯიშო 8: ფრენის წრე (Circuit)

| მიზნები | სავარჯიშოსთან დაკავშირებული სპეციფიკა და რისკები | სავარჯიშოს თეორიული ნაწილი: ვრცელი ინსტრუქტაჟი | სამუშაო სავარჯიშო |
|---|---|---|--|
| <ul style="list-style-type: none"> ფრენის წრეში გადაადგილების პროცედურის დაუფლება, გარდა დაფრენისა; აფრენის შესრულება და სხვადასხვა საფრენოსნო პარამეტრების დაცვა; პროცედურაში არსებული მითითებების დაცვა. | <ul style="list-style-type: none"> შესაფრენის აეროლოგიური (ამინდის) პირობები პირველი გაკვეთილის ჩატარებისას, ნაკლებად დატვირთული მოძრაობა წფრენის წრეში (ნაკლები მოძრაობა სხ); ფრენის წრეში დატვირთულობის თანდათანობით გაზრდა. ფრენის წრის პერპენდიკულარული მონაკვეთები (leg) საჭიროებს თვითმფრინავის ცურვის შესწორების კარგ ცოდნას; სიფრთხილე ბოლო მონაკვეთზე (Final) მობრუნებისას: სიჩქარე, სიმეტრია და ასაფრენ-დასაფრენი ზოლისკენ გასწორება; სიზუსტისა და გადაწყვეტილებების მიღების შეფასება სხვა სხ-ებისგან უსაფრთხო მანძილით დაშორების პროცესში. | <ul style="list-style-type: none"> ფრენის წრეში შესვლის (ინტეგრირების) წესები; ფრენის წრესთან დაკავშირებული სხვადასხვა პარამეტრების განმარტება (მაგ.: სიჩქარე, სიმაღლე, დაშორება, მიმართულება და სხვ.); ფრენის წრის თითოეული მონაკვეთის (Leg) მიზნობრიობა და საჭირო მოქმედებათა თანამიმდევრობა; ფარდობითი სიმაღლისა და სახმელეთო ტრაექტორიების (თუ მოცემულია) დაცვის საჭიროება; უსაფრთხოება და ფრენის წრეში შესვლის წესების დაცვა, ასევე, საგზაო უპირატესობის დაცვა; დასაფრენად ვიზუალური შესვლის რუკების (VAC) და სხვა სათანადო ინფორმაციების შესწავლა (თუ გამოიყენება). | <ul style="list-style-type: none"> მომზადება და ფრენის წრეში შესვლა (ინტეგრაცია); შესვლა სხვადასხვა ინტენსივობის საჰაერო მოძრაობაში (Traffic); ტრაექტორიის ცვლილება საჰაერო მოძრაობის არსებული პირობების გათვალისწინებით; რადიოკავშირი (თვითინფორმირება ან საჰაერო მოძრაობის მართვა (ATC). თუ გამოიყენება. |

| | |
|---|--|
| <p>მნიშვნელოვანი პედაგოგიური საკითხები</p> | <ul style="list-style-type: none"> მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენება; ყურადღების განაწილება და მართვისათვის საჭირო მოქმედებების კოორდინაცია; დასაფრენად შესვლის პარამეტრების დაფლება; სახმელეთო ორიენტირების გამოყენება და ტრაექტორიის ცვლილება ქარის შესაბამისად; ფრენის წრის თითოეულ მონაკვეთზე (Leg) თვითმფრინავის სათანადო (ზუსტი) გასწორება; არსებული საჰაერო მოძრაობის გათვალისწინება; ფრენის წრეში შესვლის წერტილებისა და შესვლის პროცედურის დეტალური მონიტორინგი; ფრენის წრის თითოეული მონაკვეთის (Leg) მიზნობრიობისა და ფუნქციის გააზრება; ფრენის წრის ბოლო მონაკვეთზე (Final) მობრუნებისა და ასაფრენ-დასაფრენი ზოლისკენ გასწორების სიზუსტე; გადაწყვეტილების მიღებისა და მოლოდინის პროცესი, მათ შორის, მეორე წრეზე (Go-around) წასვლის საჭიროება. |
|---|--|

| | |
|---|--|
| <p>შესრულებული სამუშაოს თანმიმდევრობის ინსტრუქტაჟი (ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის მასწავლებელი/ ინსტრუქტორობის კანდიდატი) სამიშროებების და შეცდომების მართვა (TEM)</p> | <ul style="list-style-type: none"> პარამეტრების შენარჩუნება; ფრენის ტრაექტორიის სიზუსტე; სიმაღლესთან დაკავშირებული მოთხოვნების დაცვა; ყურადღების განაწილება; მოლოდინისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესი; რადიოკავშირის ფრაზეოლოგიის მართებული გამოყენება; ფრენის წრეში პილოტ-კურსანტისათვის ახალი ძირითადი სირთულე უკავშირდება გაზრდილ სამუშაო დატვირთვას, რაც განპირობებულია ფრენის წრეში მოძრაობის სქემის სპეციფიკასთან და ყველა საჭირო მანევრის სწორად შესასრულებლად არსებული მცირე დროით; ამ ეტაპზე პილოტ-კურსანტის არასახარბიელო შედეგი შესაძლოა მიუთითებდეს, რომ საფრენოსნო მომზადების წინა ეტაპებზე ინსტრუქტორის ნაკლებად მომთოვნმა სავარჯიშოებმა პილოტ-კურსანტის ვერ განუვითარა სათანადო უნარები, რათა დაეძლია წინამდებარე სავარჯიშო. |
|---|--|

| სავარჯიშო 9: დაფრენა | | | |
|---|---|---|--|
| მიზნები | სავარჯიშოსთან დაკავშირებული სპეციფიკა და რისკები | სავარჯიშოს თეორიული ნაწილი: ვრცელი ინსტრუქტაჟი | სამუშაო სავარჯიშო |
| <ul style="list-style-type: none"> ▪ პილოტ-კურსანტისათვის სწავლება საიმედო ვიზუალური და სახელსაწყო ნიშნების გამოყენებასთან დაკავშირებით, რომელიც საშუალებას მისცემს მას: <ul style="list-style-type: none"> ○ აკონტროლოს დასაფრენად შესვლის ტრაექტორია; ○ გაასწოროს თვითმფრინავი ასაფრენ-დასაფრენი ზოლის ღერძულა ხაზის მიმართ; ○ აკონტროლოს დასაფრენად შესვლის გრადიენტი; ○ გამოიყვანოს (Flare) თვითმფრინავი; ○ ასაფრენ-დასაფრენ ზოლზე შეხებამდე (Touchdown) მოახდინოს თვითმფრინავის დაყოვნება (Hold-off) მისი შენელებისათვის. | <ul style="list-style-type: none"> ▪ ყველა ის პირობა, რომელიც თავსებადია თვითმფრინავის ექსპლუატაციის პირობებთან და შეზღუდვებთან; ▪ ასაფრენ-დასაფრენი ბილიკის ზედაპირის სხვადასხვა პირობების თავისებურებები. | <ul style="list-style-type: none"> ▪ გარემო-პირობების განმსაზღვრელი პარამეტრების გათვალისწინება (ქარი, ტემპერატურა, აბსოლუტური სიმაღლე, ასაფრენ-დასაფრენი ზოლის ზედაპირი და სხვ.); ▪ ფრენის წრეზე საბოლოო მობრუნების (Base-to-final turn) თავისებურება და რისკები; ▪ დამიზნების წერტილის (Aiming point) (მნიშვნელოვანი ინდიკატორი) განმარტება; ▪ დასაფრენად შესვლის ხელსაყრელი საჰაერო სიჩქარე; ▪ უწინ მიღებული თეორიული ცოდნის გამოყენება და დამატებით განიმარტება „ენერჯის გადაცემის მოვლენები“ თვითმფრინავის გამოყვანის და მისი შემდგომი შენელების ეტაპისათვის. | <ul style="list-style-type: none"> ▪ დასაფრენად შესვლის თითოეული ეტაპის იდენტიფიცირება, თვითმფრინავის გამოსწორებისთვის სწორი სიმაღლის (ფარდობითი) განსჯა, სიმაღლის დანაკარგის კომპენცირება, თანდათანობით სიჩქარის შემცირება ასაფრენ-დასაფრენ ზოლზე შეხება (Touchdown) სიმაღლიდან დაშვების მინიმალური სიჩქარით (Vz), რაც შესაფერისია კონკრეტული თვითმფრინავისთვის; ▪ დაფრენა ძრავის სიმძლავრის გამოყენებით; ▪ დაფრენა ძრავის შემცირებული სიმძლავრის გამოყენებით; ▪ სიზუსტით დაფრენა/გამაფრთხილებელი დაფრენა (Precautionary landing); ▪ თვითმფრინავის ასაფრენ-დასაფრენი ზოლის ღერძულა ხაზის მიმართ გასწორების, ტრაექტორიის გრადიენტის და დასაფრენად შესვლის უცვლელი სიჩქარის შენარჩუნება. |
| მნიშვნელოვანი პედაგოგიური საკითხები | <ul style="list-style-type: none"> ▪ დაფრენის შესწავლა არ უნდა იყოს დამყარებული მხოლოდ მანევრის მრავალჯერად გამეორებას. ▪ დაფრენის სწავლების თანმიმდევრულ მიზნებად დაყოფა საჭიროა, რათა პილოტ-კურსანტმა სწორად შეიცნოს და აითვისოს თითოეული ის მინიშნება, რაც შემდგომ იწვევს თვითმფრინავის მართვის საშუალებებზე გარკვეულ ზემოქმედებას; ▪ პირველ მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს დამიზნების წერტილის (Aiming point) განსაზღვრა და მისი ვიზუალიზაცია, რაც ახდენს პილოტ-კურსანტის მიერ თვითმფრინავის გამოყვანის (Flare) შემთხვევით (ალაღბეღზე) დაწყების პრევენციას; ▪ გარდა ამისა, დამიზნების წერტილამდე ჰორიზონტალური მანძილის გამოყენება ხშირად უფრო ეფექტურია, ვიდრე დაყრდნობა ხმელეთიდან სიმაღლის (ფარდობითი) მონაცემზე დაყრდნობა, რადგან სიმაღლის აღქმა ახალბედა პილოტ-კურსანტისთვის ნაკლებად საიმედოა; ▪ შეჯამებისთვის, სათანადო ვიზუალიზაცია და სწორი მინიშნებების გამოყენება პილოტ-კურსანტს აძლევს საშუალებას განჭვრიტოს თითოეული მოქმედების შესრულებისთვის სწორი დრო და შემდგომ შეასრულოს იგი; ▪ ზსხ-ს პილოტის ინსტრუქტორის ფუნქციას სწავლება წარმართოს მკაფიო ინსტრუქციებისა და სათანადო ვიზუალური ორიენტირების გამოყენებით. | | |
| შესრულებული სამუშაოს თანმიმდევრობის ინსტრუქტაჟი (ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის მასწავლებელი/ ინსტრუქტორობის კანდიდატი) სამიშროებების და შეცდომების მართვა (TEM) | <ul style="list-style-type: none"> ▪ ფრენის წრეზე საბოლოო მობრუნებისას (Base-to-final turn) ქარის კომპონენტის გათვალისწინება; ▪ ასაფრენ-დასაფრენი ზოლის ღერძულა ხაზის მიმართ მობრუნებისას თვითმფრინავის სათანადო გასწორების განჭვრეტა; ▪ თვითმფრინავის დასაფრენად შესვლის ტრაექტორიის გრადიენტისა და სიჩქარის დამყარება და მისი შენარჩუნება; ▪ ვიზუალური ორიენტირების ეფექტური გამოყენება (ყურადღების განაწილების პროცესში); ▪ თვითმფრინავის ნულოვანი დაფერდების შენარჩუნება; ▪ ასაფრენ-დასაფრენი ზოლის ღერძულა ხაზიდან და დასაფრენად შესვლის ტრაექტორიის გრადიენტიდან გადახრების აღქმა და მისი შესწორება; ▪ დამიზნების წერტილის (Aiming point) განსაზღვრა (იდენტიფიცირება); | | |

| | |
|--|---|
| | <ul style="list-style-type: none"> ▪ თვითმფრინავის გამოყვანის (Flare) დაწყებისათვის სწორი დროის შერჩევა (დამიზნების წერტილამდე ჰორიზონტალური მანძილის მნიშვნელობაზე დაყრდნობით); ▪ თვითმფრინავის თანდათანობით გამოყვანა და შენელების სათანადო კონტროლი (ახალი ვიზუალური ორიენტირების გამოყენება); ▪ დაფრენის შემდეგ და ასაფრენ-დასაფრენ ზოლთან შეხებამდე თვითმფრინავის მიმართულების სისწორის მართვა. |
|--|---|

სავარჯიშო 10: უნარების განვითარება / ძრავის მტყუნება (ფრენის ნებაყოფლობითი შეწყვეტა)

| მიზნები | სავარჯიშოსთან დაკავშირებული სპეციფიკა და რისკები | სავარჯიშოს თეორიული ნაწილი: ვრცელი ინსტრუქტაჟი | სამუშაო სავარჯიშო |
|---|--|--|--|
| <ul style="list-style-type: none"> ▪ ძრავის მტყუნებისას გამოსაყენებელი პროცედურებისა და ძრავის სიმძლავრის გარეშე დასაფრენად შესვლის სხვადასხვა ტიპების სწავლება. | <ul style="list-style-type: none"> ▪ საჰაერო სივრცის სხვა მომხმარებლების ინფორმირება, როდესაც ფრენა ხორციელდება აეროდრომზე / საფრენ მოედანზე, სადაც არის დატვირთული საჰაერო მოძრაობა (Traffic); ▪ უსაფრთხოების კონუსის (cone de sécurité) გამოყენება; ▪ ზსხ-ს პლანირების საუკეთესო კოეფიციენტისა (Lift-to-drag ratio) და სიჩქარეთა მრუდის (Polar curve) გააზრება; ▪ დაფრენისათვის შერჩეულ ადგილის არეში არსებული დაბრკოლებების გათვალისწინება – დასაფრენად შესვლისას, მეორე წრეზე წასვლისას და მეორე წრეზე წასვლისად ძრავის გაუმართავობის შემთხვევაში. | <ul style="list-style-type: none"> ▪ ძრავის მტყუნების შემდეგ მოქმედებათა თანმიმდევრობა; ▪ მტყუნების გათვლა (პროგნოზირება) და დაფრენისათვის გამოსადეგი ადგილის შერჩევა; ▪ აფრენისას ძრავის მტყუნების შემთხვევაში ფატალურ შეცდომებთან დაკავშირებით გაფრთხილება; ▪ დასაფრენად შესვლის ტრაექტორიის გრადიენტის ცვლილების, სხვადასხვა გზების გამოყენებით, შესწავლა; ▪ დასაფრენად შესვლისას უფრო მეტად მკვეთრი (დამრეცი / Steep) ტრაექტორიების შერჩევის უპირატესობები. | <ul style="list-style-type: none"> ▪ მტყუნებების იმიტირებები ფრენის წრეში (Circuit) ფრენისას და ღია სივრცეში (აეროდრომის/ საფრენი მოედნის მიღმა); ▪ აფრენის შემდეგ ძრავის მტყუნება (ნებისმიერ ფარდობით სიმაღლეზე); ▪ დასაფრენად შესვლის ტრაექტორიის გრადიენტის ცვლილების ტექნიკა; ▪ მეორე წრეზე წასვლის (Go-around) გადაწყვეტილება; ▪ დაფრენა ასაფრენ-დასაფრენი ზოლის მაგნიტური მიმართულების (Runway magnetic heading) საპირისპიროდ, იმ შემთხვევაში, თუ უსაფრთხოა (აეროლოგია, საჰაერო მოძრაობა და სხვ.) |
| მნიშვნელოვანი პედაგოგიური საკითხები | <ul style="list-style-type: none"> ▪ ამ ფაზის მიზანია შეასწავლოს პილოტ-კურსანტს გადაწყვეტილების მიღება და შემდეგ შეაფასოს პილოტ-კურსანტის გადაწყვეტილების მიღების პროცესი და ავარიულ მდგომარეობაში მისი ემოციური მდგომარეობა; ▪ პილოტ-კურსანტის მიერ სიზუსტის, როგორც „სამუშაოს ძირითად მოთხოვნად“ აღიარება, იმის ცხადი მაჩვენებელია, რომ პილოტ-კურსანტი იწყებს დამოუკიდებლად მოქმედებას (ავტონომია). | | |
| შესრულებული სამუშაოს თანმიმდევრობის ინსტრუქტაჟი (ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის მასწავლებელი/ ინსტრუქტორობის კანდიდატი) სამიმროებების და შეცდომების მართვა (TEM) | | <ul style="list-style-type: none"> ▪ ზსხ-ს მტყუნებისას პილოტ-კურსანტის რეაქციაზე დაკვირვება და მისი შეფასება; ▪ მტყუნების სავარაუდო მიზეზის პროგნოზირება; ▪ დაფრენის ადგილის არეს შერჩევა; ▪ გადაწყვეტილების მიღების პროცესის შესწავლა (მეორე წრეზე წასვლის გადაწყვეტილების ჩათვლით); ▪ ზსხ-ს დასაფრენად შესვლის პარამეტრების სწორად დაყენება; ▪ აეროდრომის / საფრენი მოედნის მიღმა ავარიული დაფრენის თანმიმდევრული ეტაპების მეთოდური და ზუსტი მართვა. | |

სავარჯიშო 11: პირველი დამოუკიდებელი ფრენა

| მიზნები | სავარჯიშოსთან დაკავშირებული სპეციფიკა და რისკები | სავარჯიშოს თეორიული ნაწილი: ვრცელი ინსტრუქტაჟი | სამუშაო სავარჯიშო |
|--|--|---|--|
| <ul style="list-style-type: none"> ▪ პილოტ-კურსანტის მოტივაციის გაძლიერება, მაგრამ ამასთანავე | <ul style="list-style-type: none"> ▪ ძალიან კარგი აეროლოგიური პირობები; | <ul style="list-style-type: none"> ▪ დამოუკიდებელი ფრენის შესრულების თანხმობა უნდა იყოს გაცემული ზსხ-ს პილოტის | <ul style="list-style-type: none"> ▪ პირველი დამოუკიდებელი ფრენა მნიშვნელოვანი ეტაპია მფრინავის |

| | | | |
|---|---|--|--|
| <p>ინსტრუქტორის არ უნდა მოხდეს კურსანტის გაშვება, თუ იგი მკაფიოდ არ გამოხატავს პირველი დამოუკიდებელი ფრენის შესრულების სურვილს.</p> | <ul style="list-style-type: none"> ▪ პირველი დამოუკიდებელი ფრენის (ნებაყოფლობით) შესრულების სურვილის მქონე პილოტ-კურსანტი; ▪ კურსანტის ფიზიკური (დადლილობა) და მენტალური (სტრესი) მდგომარეობა უსაფრთხოდ ფრენისათვის; ▪ სხვა საჰაერო ხომალდების დაბალი აქტივობა საჰაერო სივრცეში; ▪ პირველი დამოუკიდებელი ფრენისას: აეროდრომის/ საფრენი მოედნის ფრენის წრეების და ფრენის დროის შეზღუდვა. | <p>ინსტრუქტორის მიერ, რომელიც ასწავლის პილოტ-კურსანტს. თანხმობა გაიცემა დამოუკიდებელი ფრენის შესრულებამდე.</p> | <p>მომზადებისას. იგი მიუთითებს პილოტ-კურსანტის ნაწილობრივ ავტონომიას (დამოუკიდებლად მოქმედება), რაც საკმარისია პირველი დამოუკიდებელი საწვრთნელი ფრენის შესასრულებლად, განსაზღვრულ პირობებში და უსს-ს პილოტის ინსტრუქტორის პასუხისმგებლობის ქვეშ;</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ პირველი დამოუკიდებელი ფრენის გამოცდილება მნიშვნელოვან მოტივაციურ სარგებელს აძლევს პილოტ-კურსანტს, ვინაიდან პირველი ავტონომიური ფრენა, რომელიც სავსეა სიამოვნებითა და ემოციებით, გამოხატავს საწყისი საფრენოსნო მომზადებისას გაწეულ ძალისხმევას და ადასტურებს პილოტ-კურსანტის პროგრესს; ▪ პირველი დამოუკიდებელი ფრენის შესრულების თანხმობა მოიაზრებს პილოტ-კურსანტის საწყისი საფრენოსნო მომზადებისას მიღებული ტექნიკური უნარ-ჩვევების დადასტურებას (ვალიდაციას), რაც საწყისი მომზადების მთავარი ამოცანაა; ▪ მიუხედავად დამოუკიდებელ ფრენაზე თანხმობისა, პილოტ-კურსანტი ჯერ კიდევ არ არის სრულად ავტონომიური, რაც პილოტ-კურსანტს კარგად უნდა ესმოდეს; ▪ უნარების გასაუმჯობესებელი შემდგომი სავარჯიშოები მიზნად ისახავს პილოტ-კურსანტის სრული ავტონომიის განვითარებას, კურსანტისთვის გამოცდილების გადაცემის გზით, რაც თავის მხრივ, საშუალებას აძლევს მას მიღებული თეორიული ცოდნა და გამომუშავებული უნარ-ჩვევები გამოიყენოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში თანმიმდევრულად და ეფექტურად; ▪ პილოტ-კურსანტის მიერ საკუთარი ქმედებების დამოუკიდებლად მართვა უნარების გასაუმჯობესებელი შემდგომი სავარჯიშოების საბოლოო მიზანია და ამ ეტაპის მიღწევა მიუთითებს პილოტ-კურსანტის სრულ ავტონომიას. |
|---|---|--|--|

| | |
|---|---|
| მნიშვნელოვანი პედაგოგიური საკითხები | <ul style="list-style-type: none"> ▪ უსხ-ს პილოტის ინსტრუქტორმა პილოტ-კურსანტი პირველ დამოუკიდებელ ფრენაზე უნდა დაუშვას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საკუთარი შეფასებით, მას აქვს საკმარისი ნაწილობრივი ავტონომია და საკმარისი ცოდნა, რაც საჭიროა სასწავლო ფრენის უსაფრთხოდ შესასრულებლად, საკუთარი პასუხისმგებლობის ქვეშ; ▪ პილოტ-კურსანტის მიერ პირველი დამოუკიდებელი ფრენის შესრულება უნდა იყოს ნებაყოფლობითი, ყოველგვარი ზეწოლისა და იძულების გარეშე. |
| შესრულებული სამუშაო თანმიმდევრობის ინსტრუქტაჟი (უსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის მასწავლებელი/ ინსტრუქტორობის კანდიდატი) სამიშროებების და შეცდომების მართვა (TEM) | <ul style="list-style-type: none"> ▪ გადაამოწმეთ პილოტ-კურსანტის ნებაყოფლობით მზადყოფნაში; ▪ დარწმუნდით, რომ კურსანტის სტრესის (ემოციური დაძაბულობა) დონე უზრუნველყოფს უსაფრთხო ფრენას; ▪ საუკეთესო შემთხვევაში, პირველი დამოუკიდებელი ფრენის შემდეგ სასურველია ხანმოკლე ფრენა ინსტრუქტორთან ერთად (მაგ.: სამი სწორად შესრულებული აეროდრომის/ საფრენი მოედნის ფრენი წრე ინსტრუქტორის დახმარების გარეშე); ▪ თუ პილოტ-კურსანტი უარს აცხადებს პირველ დამოუკიდებელ ფრენაზე დაუშვებელია ამის დაჟინებით მოთხოვნა ან სხვა გზით მასზე გავლენის მოხდენა. პილოტ-კურსანტის ეს გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული და დაფასებული. პირველი დამოუკიდებელი ფრენის საჩქაროდ შესრულების გადაუდებელი აუცილებლობა არ არსებობს; ▪ დამოუკიდებელი ფრენის შემდგომ თვით-ინსტრუქტაჟი პილოტ-კურსანტის მიერ. |

| სავარჯიშო 12: პირველი დამოუკიდებლად ფრენის შემდეგ უნარების გაუმჯობესება | | | |
|---|--|--|--|
| მიზნები | სავარჯიშოსთან დაკავშირებული სპეციფიკა და რისკები | სავარჯიშოს თეორიული ნაწილი: ვრცელი ინსტრუქტაჟი | სამუშაო სავარჯიშო |
| <ul style="list-style-type: none"> ▪ უსხ-სთან დაკავშირებით თეორიული ცოდნის გადრმავება და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება; ▪ ფრენის კრიტიკული ფაზების მართვის გამოცდილების გადაცემა პილოტ-კურსანტისათვის. | <ul style="list-style-type: none"> ▪ ნაკლები საფრენოსნო გამოცდილების ხაზგასმა და მისი აღნიშვნა; ▪ ამ სავარჯიშომდე, საჭიროა პილოტ-კურსანტს დაგროვებული ჰქონდეს დამოუკიდებლად ფრენის მინიმალური ფრენა/ საათი. | <ul style="list-style-type: none"> ▪ სავარჯიშოსთან დაკავშირებული თეორიული საკითხების მიმოხილვა. | <ul style="list-style-type: none"> ▪ მოხვევა მკვეთრი დაფრდებებით (Steep turns); ▪ დაფრენა გვერდითა ქარში (Crosswind landing); ▪ შედარებით რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში ფრენა; ▪ აეროდრომის/ საფრენი მოედნის მიღმა ძრავის მტყუნების იმიტირებები; ▪ დაფრენის სხვადასხვა ტექნიკის შესრულება (2x PTE/PTU/PTS /, ფრენა გვერდურვით (SIDE-SLIP (FLIGHT))). |
| მნიშვნელოვანი პედაგოგიური საკითხები | <p>პილოტ-კურსანტის ტექნიკური უნარ-ჩვევების განვითარების გარდა, ეს სავარჯიშო მიზნად ისახავს კურსანტის ისეთ გარემო-პირობებში მოთავსებას, სადაც იგი მიიღებს გამოცდილებას, შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ინსტრუქტორი დააკვირდეს კურსანტის არჩევანის მიზანშეწონილობას, რითაც, საბოლოოდ, შეუძლია შეაფასოს კურსანტის გადაწყვეტილებების მიღების პროცესი.</p> | | |
| შესრულებული სამუშაო თანმიმდევრობის ინსტრუქტაჟი (უსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის მასწავლებელი/ ინსტრუქტორობის კანდიდატი) სამიშროებების და შეცდომების მართვა (TEM) | <ul style="list-style-type: none"> ▪ პილოტ-კურსანტის მიერ საკუთარი ქმედებებისთვის დადგენილი დონისა (რამდენად მომთხოვნია კურსანტი საკუთარი თავისგან) და მისი შესრულების ხარისხის (რამდენად ზუსტად სრულდება) შეფასება; ▪ დარწმუნდით, რომ პილოტ-კურსანტი ყოველთვის გაცნობიერებულია (ინფორმირებულია) არსებულ საექსპლუატაციო გარემოსთან დაკავშირებით; ▪ შეაფასეთ პილოტ-კურსანტის უნარი, დარჩეს საკუთარი ცოდნის ფარგლებში და არ გადააჭარბოს თავის შესაძლებლობებს. | | |

| სავარჯიშო 13: ნაოსნობა | | | |
|--|---|--|--|
| მიზნები | სავარჯიშოსთან დაკავშირებული სპეციფიკა და რისკები | სავარჯიშოს თეორიული ნაწილი: ვრცელი ინსტრუქტაჟი | სამუშაო სავარჯიშო |
| <ul style="list-style-type: none"> ▪ პილოტ-კურსანტს თანდათანობით გააცნოს შორ მანძილზე ფრენები, ასწავლოს | <ul style="list-style-type: none"> ▪ ინსტრუქტორი უნდა დარწმუნდეს, რომ ხელმისაწვდომია სანაოსნო ფრენების დაგეგმვისთვის ყველა | <ul style="list-style-type: none"> ▪ სხვადასხვა ჩრდილოეთი (კომპასის ჩრდილოეთი, მაგნიტური ჩრდილოეთი, ქუმმარიტი ჩრდილოეთი), მაგნიტური ვარიაცია (Magnetic variation), დევიაცია | <ul style="list-style-type: none"> ▪ პირველი მოკლე სანაოსნო ფრენა ახლომდებარე აეროდრომამდე / საფრენ |

| | | | |
|---|---|--|---|
| <p>კურსანტს ნაოსნობისთვის მომზადება და შესაბამისი დამხმარე დოკუმენტაციის გამოყენება;</p> <ul style="list-style-type: none"> ინსტრუქტორი აკონტროლებს ნაოსნობის სავარჯიშოს სწორად შესრულებას და ამოწმებს კურსანტის ცოდნის გამოყენებას სხვადასხვა აეროდრომზე / საფრენ მოედანზე. | <p>საჭირო ხელსაწყო და შესაბამისი რესურსი;</p> <ul style="list-style-type: none"> ინსტრუქტორი აკვირდება მოსამზადებელი ფაზის ყველა ძირითადი პუნქტს და ამოწმებს, რომ დაკმაყოფილდა ფრენის შესასრულებლად ყველა პირობა. | <p>(Deviation), კურსიდან გადახრა (Drift) და გეოგრაფიული კოორდინატები;</p> <ul style="list-style-type: none"> მანძილზე დროის გამოანგარიშება (Time per distance (facteur de base)); სიჩქარეთა სამკუთხედი (Wind triangle), გვერდითი ქარისა (Crosswind) და ქარის კომპონენტის (შემხვედრი ქარი (Headwind)/ ზურგის ქარი (Tailwind)) გამოანგარიშების მეთოდები; ზსხ-ს ავტონომიის გამოანგარიშება; ნაოსნობის ჩანაწერის (Navigation Log) სტრუქტურა და მისი გამოყენება; ფრენის დაგეგმვისთვის საჭირო დოკუმენტაციის გამოყენება (საავიაციო რუკები, სააერონაოსნო ინფორმაციის კრებული (AIP) და მისი ცვლილებები (AIP supplements), დასაფრენად ვიზუალური შესვლის რუკა (VAC) და სხვ.); ჰაერსანაოსნო ინფორმაციის ცირკულარის (AIC), NOTAM-ის, სააერონაოსნო ინფორმაციის კრებულის ცვლილებები (AIP SUP) და სხვ. შესაბამისი ინფორმაციის გაცნობა; ამინდის პროგნოზი; რადიოკავშირით სარგებლობა; გლობალური პოზიციონირების სისტემა (GPS): სანაოსნო ფრენის დაგეგმვისა და მისი მსვლელობის მაჩვენებელი პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება; სააერონაოსნო ინფორმაციის სამსახურის (AIS) ინფორმაციაზე წვდომა (https://ais.airnav.ge/ge/saaernaosno-informatsiis-samsakhuri) | <p>მოედნამდე და უკან დაბრუნება გაფრენის პუნქტში;</p> <ul style="list-style-type: none"> გაფრენა და დაფრენა დანიშნულების პუნქტის აეროდრომზე / საფრენ მოედანზე და დაბრუნება გაფრენის პუნქტში; ნაოსნობის სამკუთხედის შესრულება რამდენიმე აეროდრომის / საფრენ მოედნის ფრენის წრეში შესვლა და ასევე, დაგეგმილი კურსიდან გადახვევები. |
| <p>მნიშვნელოვანი პედაგოგიური საკითხები</p> | <p>მიუხედავად იმისა, რომ სწავლების ეს ფაზა აღარ შემოიფარგლება მხოლოდ საწყისი ძირითადი (ტიქნიკური) სწავლებით, ინსტრუქტორი უნდა დააკვირდეს პილოტ-კურსანტს, თუ რამდენად მოქმედებს ნაოსნობასთან დაკავშირებული დამატებითი სამუშაო დატვირთვა კურსანტის მიერ შესრულებული ფრენის სიზუსტეზე.</p> | | |
| <p>შესრულებული სამუშაოს თანმიმდევრობის ინსტრუქტაჟი (ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის მასწავლებელი/ ინსტრუქტორობის კანდიდატი) სამიშროებების და შეცდომების მართვა (TEM)</p> | <ul style="list-style-type: none"> ფრენის შესრულებისას პილოტ-კურსანტის საპილოტაჟო მოქმედებების ხარისხის დაკვირვება და შეფასება (სანაოსნო ფრენასთან დაკავშირებული დამატებითი სამუშაო დატვირთვის პირობებში); ხმელეთზე ფრენის საფუძვლიანი მომზადების მნიშვნელობა; ნაოსნობის ჩანაწერის (Navigation Log) გამოსადგობის დემონსტრირება; სამუშაო დატვირთვის სათანადოდ მართვის აუცილებლობის ხაზგასმა; საავიაციო რადიოკავშირის ფრაზოლოგიის გამოყენების დაუფლება; გარემოს (სიტუაციური) გაცნობიერება და ზსხ-ს არსებული მდებარეობის მუდმივი ცოდნა; ორიენტაციის აღდგენა მდებარეობის გაურკვევლობის შემთხვევაში (გაურკვევლობის წრე (Uncertainty circle), მნიშვნელოვანი სახმელეთო ორიენტირები, საჰაერო მოძრაობის მართვის (ATC) დახმარება და სხვ.). | | |

ზსხ-ს პილოტის მოწმობის გაცემის შემდგომი სწავლება

| მიზნები | სავარჯიშოსთან დაკავშირებული სპეციფიკა და რისკები | სავარჯიშოს თეორიული ნაწილი: ვრცელი ინსტრუქტაჟი | სამუშაო სავარჯიშო |
|---|--|---|---|
| <ul style="list-style-type: none"> პილოტის წახალისება, რათა გრძელვადიან პერიოდში ჩაერთოს უნარ-ჩვევების განვითარების პროცესში და შეინარჩუნოს მოტივაცია ამ მიზნისთვის. | <ul style="list-style-type: none"> მოტივაციისთვის, ეს სავარჯიშოები, პირველ რიგში, სახალისო და სასიამოვნო უნდა იყოს (თამაშები, მეგობრული შეჯიბრებები და ა.შ.). <p>შენიშვნა: ეს არ არის სპორტული შეჯიბრება. საფრენოსნო უნარ-ჩვევების განსავითარებელი სავარჯიშოებისგან განსხვავებით, მათი მიზანი პირდაპირ არ ემთხვევა სწავლების მიზნებს.</p> | <ul style="list-style-type: none"> სავარჯიშოს თეორიული ნაწილი განისაზღვრება შერჩეული სავარჯიშოს შესაბამისად. | <ul style="list-style-type: none"> სიზუსტეზე დაფრენა; ზუსტი ნაოსნობა GPS-ის გამოყენების გარეშე (ფრენის წრის შესრულებისას განსაზღვრული/ სპეციფიკური ადგილების პოვნა და მათი ფოტოგრაფირება); ჯგუფური ფრენა (თუ შესაძლებელია), რომლის დროსაც ყოველი პილოტი რიგრიგობით ატარებს ამინდის შესახებ ინსტრუქტაჟს; კურსის გათვლის (Dead reckoning) სიზუსტე (პილოტის მიერ ნავარეუდები დროისა და რეალური დროის შედარება); ნაოსნობის უნარების გასაუმჯობესებელი მრავალდღიანი ფრენები. |
| <p>მნიშვნელოვანი პედაგოგიური საკითხები</p> | <ul style="list-style-type: none"> კანონმდებლობის გათვალისწინებით, ზსხ-ს პილოტის მოწმობის მიღება გულისხმობს პილოტ-კურსანტის სტატუსის დასასრულს და ზსხ-ს მეთაურის სტატუსის დასაწყისს, ვინაიდან მფრინავი მოქმედებს საკუთარი პასუხისმგებლობის ქვეშ; ზსხ-ს პილოტს კვლავ ესაჭიროება განვითარება, მაგრამ ვინაიდან კანონმდებლობა არ ავალდებულებს ინსტრუქტორს ასწავლოს ახალბედა პილოტს, ახალბედა მფრინავის მომზადება მაინც არის ინსტრუქტორის ფუნქციის განუყოფელი ნაწილი და უნარების განვითარება შესაძლებელია მიიღწეს ინსტრუქტორის დახმარებით; ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია ინსტრუქტორმა პილოტს გაუღვივოს განვითარების (პროგრესის) სურვილი და მოხდეს მისი წახალისება ფრენების განმავლობაში; პილოტსა და ინსტრუქტორს შორის ურთიერთობა ამ ეტაპზე განსხვავებულია (განსხვავებით საწყისი საფრენოსნო მომზადებისგან), რადგან ის აღარ მოიცავს რაიმე იერარქიას ან უფლებამოსილებას; ყოფილი პილოტ-კურსანტები ბუნებრივად მიმართავენ ინსტრუქტორს, რადგან ხედავენ უნარ-ჩვევების განვითარების ან კომპეტენციის შენარჩუნების საჭიროებას; ინსტრუქტორის მიერ როლური მოდელის გამოყენება კარგი მეთოდია: პილოტებს ხშირად აქვთ სურვილი გაიმეორონ ის, რასაც ინსტრუქტორი კარგად აკეთებს; ამ ეტაპზე წარმატების საწინდარია პილოტ-კურსანტის/ პილოტის განათლებაზე ზრუნვა (ფრენის ინსტრუქტორის მიერ კურსანტის/ პილოტის ქცევის ეფექტური და მდგრადი ცვლილება — დადებითი, უსაფრთხო და პასუხისმგებელიანი ქცევის მაგალითის მუდმივი მიცემით). | | |
| <p>შესრულებული სამუშაო თანმიმდევრობის ინსტრუქტაჟი (ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის მასწავლებელი/ ინსტრუქტორობის კანდიდატი) საშიშროებების და შეცდომების მართვა (TEM)</p> | <ul style="list-style-type: none"> მფრინავისთვის შეთავაზება მისი დავალებების ნაცვლად; პილოტის უნარ-ჩვევების განვითარება არ არის სპორტული შეჯიბრება; დაჯილდოება, თუნდაც სიმბოლური. ჯილდო ხელს უწყობს მფრინავის ჩართულობის გაზრდას; უნარ-ჩვევების განვითარებისას, მგზავრთან ერთად ფრენის უფლებამოსილების მიღებისკენ სწრაფვა ახალგაზრდა პილოტთათვის მოტივაციის მნიშვნელოვანი წყაროა; მნიშვნელოვანია, რომ ინსტრუქტორმა მკაფიოდ განსაზღვროს ამ უფლებამოსილების მინიჭებისთვის საჭირო საფრენოსნო უნარების დონე. მფრინავმა უნდა აჩვენოს, რომ მას შეუძლია უსაფრთხოდ ფრენა, სათანადო სიზუსტითა და თანმიმდევრულობით. | | |

| სავარჯიშო 15: მგზავრთან ერთად ფრენა | | | |
|-------------------------------------|--|--|-------------------|
| მიზნები | სავარჯიშოსთან დაკავშირებული სპეციფიკა და რისკები | სავარჯიშოს თეორიული ნაწილი: ვრცელი ინსტრუქტაჟი | სამუშაო სავარჯიშო |

| | | | |
|---|--|---|---|
| <p>ადგილობრივი ფრენის შესრულება – ფრენის უსაფრთხოების, თანმიმდევრულობისა და სიზუსტის დაცვით.</p> | <p>მგზავრთან ერთად ფრენისას პილოტმა ყურადღება უნდა მიაქციოს შემდეგს:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ მგზავრის ჩაცმულობა ფრენისათვის შესაფერისია (თავისუფალი ჩაცმულობა, კაშნე, თავსაბურავი და ა.შ.); ▪ მგზავრი არ უხედა ფრენის მართვის საშუალებებს და არ ზღუდავს მის სრულ მოძრაობას, ასევე ხელს არ უშლის: <ul style="list-style-type: none"> ○ მთავარ ჩამრთველ-ამომრთველს (Master switch); ○ საავარიო პარაშუტის მართვის სახელურს (თუ ზსხ აღჭურვილია ასეთი პარაშუტით). ▪ მიზანშეწონილია მგზავრს მიეთითოს ფეხებისა და ხელების მოთავსების სწორი ადგილი; ▪ კამერები და ფოტო მოწყობილობები სათანადოდ დამაგრებული და განლაგებულია; ▪ აფრენამდე მგზავრი დამაგრებულია უსაფრთხოების ღვედით და ფლობს ინფორმაციას ავარიულ მდგომარეობაში ღვედის გახსნასთან დაკავშირებით. | <ul style="list-style-type: none"> ▪ მგზავრთან დაკავშირებული საკითხების გათვალისწინება (ფრენის წინ) და მგზავრის მართვა (ფრენის განმავლობაში); ▪ მასის და გაწონასწორების (Mass and Balance) შეზღუდვების დაცვა. | <ul style="list-style-type: none"> ▪ ზსხ-სთან დაკავშირებული საკითხების გათვალისწინება, როდესაც სრულდება მგზავრთან ერთად ფრენა; ▪ სამიშროებების და შეცდომების მართვის (TEM) გამოყენება; ▪ მგზავრის ინსტრუქტაჟი; ▪ მგზავრის მართვა ფრენის სხვადასხვა პირობებსა და ზსხ-ს კონფიგურაციაში. |
| <p>მნიშვნელოვანი პედაგოგიური საკითხები</p> | <ul style="list-style-type: none"> ▪ ძრავის ამუშავება; ▪ აფრენა სიფრთხილის ზომების დაცვით; ▪ პილოტირების სიზუსტე; ▪ რეაქცია მტყუნებაზე; ▪ გარემოს (სიტუაციური) გაცნობიერება; ▪ ფრენის ზოგადი უსაფრთხოება; ▪ სიზუსტეზე დაფრენა; ▪ ფრენის გაუქმების ან შეწყვეტის ან უარის თქმის უნარი და გამძლეობა სტრესისაღმძი; ▪ მგზავრის მდელვარების გაცნობიერება და მისი გათვალისწინება; ▪ აკრძალულია ნებისმიერი სახის ფიგურული ფრენა. | | |
| <p>შესრულებული სამუშაოს თანმიმდევრობის ინსტრუქტაჟი (ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის მასწავლებელი/ ინსტრუქტორობის კანდიდატი) სამიშროებების და შეცდომების მართვა (TEM)</p> | <p>მგზავრთან ერთად ფრენის უფლებამოსილების მინიჭების ან დამატებითი მომზადების გავლის რეკომენდაცია, შესაბამისი ინფორმაციის მითითებით.</p> | | |

1. ზსხ-ს მესამე კლასის (ავტოჟირი) პილოტის ინსტრუქტორის მომზადების პროგრამის შინაარსი

შენიშვნა: ამ დანართში განსაზღვრული სავარჯიშოების თანმიმდევრობა, შესაძლებელია არ შეესაბამებოდეს ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის მომზადებისას არსებულ თანმიმდევრობას და წარმოადგენს სახელმძღვანელო დოკუმენტს მომზადების განხორციელების ორგანიზებისათვის.

სავარჯიშო 1: ზსხ-ს გაცნობა

სავარჯიშო 2: ფრენის მომზადება და ფრენის შემდგომი მოქმედებები

სავარჯიშო 3: გაცნობითი ფრენა

სავარჯიშო 4: მართვის თავდაპირველი სწავლება

სავარჯიშო 5: ტრაექტორიების ცვლილება და მათი დაცვა

სავარჯიშო 6: მოხვევების შესწავლა

სავარჯიშო 7: დაბალი სიჩქარით ფრენა და ავტოროტაცია

სავარჯიშო 8: ფრენის წრე (Circuit)

სავარჯიშო 9: დაფრენა

სავარჯიშო 10: უნარების განვითარება / ძრავის მტყუნება (ფრენის ნებაყოფლობითი შეწყვეტა)

სავარჯიშო 11: პირველი დამოუკიდებელი ფრენა

სავარჯიშო 12: პირველი დამოუკიდებელი ფრენის შემდეგ უნარების გაუმჯობესება

სავარჯიშო 13: ნაოსნობა

ზსხ-ს პილოტის მოწმობის გაცემის შემდგომი სწავლება

სავარჯიშო 14: უნარ-ჩვევების განვითარება და კომპეტენციის შენარჩუნება

სავარჯიშო 15: მგზავრთან ერთად ფრენა

1. ზსხ-ს მეოთხე კლასის (ზემსუბუქი შვეულმფრენი) პილოტის ინსტრუქტორის მომზადების პროგრამის შინაარსი

შენიშვნა: ამ დანართში განსაზღვრული სავარჯიშოების თანმიმდევრობა, შესაძლებელია არ შეესაბამებოდეს ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის მომზადებისას არსებულ თანმიმდევრობას და წარმოადგენს სახელმძღვანელო დოკუმენტს მომზადების განხორციელების ორგანიზებისათვის.

სავარჯიშო 1: შვეულმფრენის გაცნობა

სავარჯიშო 2: ფრენის მომზადება და ფრენის შემდგომი მოქმედებები

სავარჯიშო 3: გაცნობითი ფრენა

სავარჯიშო 4: ფრენის მართვის საშუალებების მოქმედება

სავარჯიშო 5: შვეულმფრენის სიმძლავრისა და სივრცული მდგომარეობის ცვლილებები

სავარჯიშო 6: სწორხაზოვანი და დამყარებულ სიმაღლეზე ფრენა – სიმაღლის აღება, სიმაღლიდან დაშვება, საშუალო დახრილობის მოხვევები

სავარჯიშო 7: ავტოროტაცია

სავარჯიშო 8: ჰაერში შეკიდება (Hover) და ხმელეთთან სიახლოვეს გადაადგილება

სავარჯიშო 9: აფრენა და დაფრენა

სავარჯიშო 10: ჰაერში შეკიდების რეჟიმიდან სიმაღლის აღების რეჟიმში გადასვლა, და დასაფრენად შესვლის რეჟიმიდან ჰაერში შეკიდების რეჟიმში გადასვლა

სავარჯიშო 11: ფრენის წრე (Circuit), დასაფრენად შესვლა და დაფრენა

სავარჯიშო 12: პირველი დამოუკიდებელი ფრენა

სავარჯიშო 13: ჰაერში შეკიდების რეჟიმში გვერდულად და უკუმიმართულებით გადაადგილება

სავარჯიშო 14: ადგილზე (წერტილის ირგვლივ) ბრუნვა

სავარჯიშო 15: ჰაერში შეკიდება ამრეკლი ეფექტის მიღმა (Out-of-Ground-Effect) და გრიგალური ნაკადი

სავარჯიშო 16: ძრავის იმიტირებული მტყუნებით დაფრენა

სავარჯიშო 17: ავტოროტაციის შესრულების გაუმჯობესება

სავარჯიშო 18: იძულებითი დაფრენის ვარჯიში

სავარჯიშო 19: მკვეთრი მოხვევები

სავარჯიშო 20: რეჟიმთა შორის გადასვლები

სავარჯიშო 21: სწრაფი შეჩერებები

სავარჯიშო 22: ნაოსნობა

სავარჯიშო 23: აფრენის, დაფრენის და რეჟიმთა შორის გადასვლების უნარ-ჩვევების გაუმჯობესება

სავარჯიშო 24: დამრეცი (ქანობი) რელიეფიდან ფრენა

სავარჯიშო 25: შემცირებული სიმძლავრე

სავარჯიშო 26: შეზღუდული სივრცის მქონე არეებიდან ფრენა

სავარჯიშო 27: მგზავრთან ერთად ფრენა

სავარჯიშო 28: უნარ-ჩვევების განვითარება

**ზემსუბუქი საჭაერო ხომალდის პილოტის
ინსტრუქტორის სასწავლო დაწესებულების
სასერტიფიკაციო განაცხადი**

APPLICATION FOR IULM TRAINING ORGANIZATION APPROVAL

| | |
|--|--|
| ორგანიზაციის დასახელება NAME OF THE TRAINING ORGANIZATION: | |
| თარიღი DATE: | |

I. ზოგადი ნაწილი | GENERAL

1) ინფორმაცია ორგანიზაციასთან დაკავშირებით / INFORMATION ABOUT THE ORGANIZATION

| | | | |
|--|--|---|---|
| ორგანიზაციის დასახელება / NAME OF THE ORGANIZATION: | | | |
| საკონტაქტო ინფორმაცია / CONTACT DETAILS: | მისამართი ADDRESS: | | |
| | საფოსტო კოდი POSTAL CODE: | | |
| | რეგიონი REGION: | | |
| | ქალაქი ან მუნიციპალიტეტი TOWN OR MUNICIPALITY: | | |
| | ტელეფონი PHONE: | | |
| | ელ-ფოსტა EMAIL: | | |
| | ვებ-გვერდი (თუ გამოიყენება) WEB-SITE (IF APPLICABLE): | | |
| ორგანიზაციის ორგანიზაციულ- სამართლებრივი ფორმა / STATUS OF THE ORGANIZATION: | | | |
| განცხადების მიზნობრიობა / OBJECTIVE OF APPLICATION: | <input type="checkbox"/> | პირველადი სერტიფიცირება / INITIAL APPROVAL | |
| | <input type="checkbox"/> | სერტიფიკატის ცვლილება, რომელიც საჭიროებს თანხმობას / CHANGE WITH APPROVAL | სერტიფიკატის ნომერი APPROVAL NUMBER: |
| | <input type="checkbox"/> | სერტიფიკატის ცვლილება, რომელიც არ საჭიროებს თანხმობას / CHANGE WITHOUT APPROVAL | |

დოკუმენტები, რომლებიც თან უნდა დაერთოს განაცხადს / DOCUMENTS TO BE ATTACHED TO THIS APPLICATION:

ორგანიზაცია / ORGANISATION

| | |
|--------------------------|---|
| <input type="checkbox"/> | ორგანიგრამა / ORGANISATION CHART |
| <input type="checkbox"/> | ორგანიზაციის შიდა სამუშაო წესები და პროცედურები (თუ გამოიყენება) / COPY OF THE INTERNAL RULES AND PROCEDURES, IF APPLICABLE |
| <input type="checkbox"/> | ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან / EXTRACT FROM THE BUSINESS REGISTER OF GEORGIA |

2) ინფორმაცია ხელმძღვანელ პირებთან დაკავშირებით / INFORMATION REGARDING MANAGEMENT PERSONNEL (HEAD OF TRAINING)

| სწავლების ხელმძღვანელი / TRAINING MANAGER | |
|--|--|
| სახელი და გვარი/ FIRST AND LAST NAME: | |
| ტელეფონი/ TELEPHONE: | |
| ელ-ფოსტა EMAIL: | |
| მოწმობის ნომერი/ LICENSE (NUMBER): | |
| სწავლების ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი (თუ შესაბამისია) / ACTING TRAINING MANAGER (IF APPLICABLE) | |
| სახელი და გვარი/ FIRST AND LAST NAME: | |
| ტელეფონი/ TELEPHONE: | |

| | |
|--|--|
| TELEPHONE: | |
| ელ-ფოსტა EMAIL: | |
| მოწმობის ნომერი/ LICENSE (NUMBER): | |
| სწავლების ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი (თუ შესაბამისია) / OTHER ACTING TRAINING MANAGER (IF APPLICABLE) | |
| სახელი და გვარი/ FIRST AND LAST NAME: | |
| ტელეფონი/ TELEPHONE: | |
| ელ-ფოსტა EMAIL: | |
| მოწმობის ნომერი/ LICENSE (NUMBER): | |

დოკუმენტები, რომლებიც თან უნდა დაერთოს განაცხადს / DOCUMENTS TO BE ATTACHED TO THIS APPLICATION:

სწავლების ხელმძღვანელი და მოვალეობის შემსრულებელი(ებ)ი / TRAINING MANAGER AND ACTING TRAINING MANAGER(S)

| | |
|--------------------------|--|
| <input type="checkbox"/> | ზსხ-ს პილოტის მოწმობის ასლი, რომელიც ადასტურებს ინსტრუქტორის კვალიფიკაციას / COPY OF THE ULM PILOT LICENSE SHOWING IULM QUALIFICATION |
| <input type="checkbox"/> | ზსხ-ს პილოტის მოწმობის ასლი, რომელიც ადასტურებს ზსხ-ს პილოტის ინსტრუქტორის გამომცდელის უფლებამოსილებას, იმ შემთხვევაში, თუ გამომცდელი დასაქმებულია სდ-ში / COPY OF THE ULM PILOT LICENSE SHOWING IULM EXAMINER AUTHORIZATION, IN CASES WHERE THE EXAMINER IS EMPLOYED BY AN IULM TRAINING ORGANIZATION |
| <input type="checkbox"/> | წერილობითი დასტური სწავლების ხელმძღვანელსა და სდ-ს შორის არსებულ შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებით / WRITTEN CONFIRMATION OF THE EMPLOYMENT RELATIONSHIP BETWEEN IULM TRAINING ORGANIZATION AND TRAINING MANAGER. |
| <input type="checkbox"/> | სამუშაოს აღწერილობის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს პირის მიერ შესასრულებელ ამოცანებსა და პასუხისმგებლობებს სასწავლო დაწესებულებაში / JOB DESCRIPTION DESCRIBING THEIR TASKS AND RESPONSIBILITIES WITHIN THE IULM TRAINING ORGANIZATION |

3) ინფორმაცია საქმიანობის (სწავლების) ძირითად ადგილთან დაკავშირებით / INFORMATION REGARDING THE PRINCIPAL BASE(S) OF TRAINING

| | |
|--|--|
| საქმიანობის (სწავლების) ადგილი(ებ)ი / TRAINING BASE(S) | |
| ძირითადი/ PRINCIPAL: | |
| მეორეული / SECONDARY: | |

დოკუმენტები, რომლებიც თან უნდა დაერთოს განაცხადს / DOCUMENTS TO BE ATTACHED TO THIS APPLICATION:

საქმიანობის (სწავლების) ადგილი(ებ)ი / TRAINING BASE(S)

| | |
|--------------------------|--|
| <input type="checkbox"/> | საფრენი მოედნის / აეროდრომის ექსპლუატანტთან შეთანხმების ასლი / COPY OF THE AGREEMENT WITH THE OPERATING SITE / AERODROME OPERATOR; |
|--------------------------|--|

4) შენობა-ნაგებობებთან დაკავშირებული ინფორმაცია / INFORMATION REGARDING FACILITIES

| | |
|---|---|
| შენობა-ნაგებობები / FACILITIES | |
| <input type="checkbox"/> მფლობელი / OWNER | <input type="checkbox"/> სარგებლობის სხვა უფლება (მიუთითეთ) / OTHER RIGHT OF USE (SPECIFY): |
| დოკუმენტები, რომლებიც თან უნდა დაერთოს განაცხადს / DOCUMENTS TO BE ATTACHED TO THIS APPLICATION: | |

შენობა-ნაგებობები / FACILITIES

| | |
|--------------------------|--|
| <input type="checkbox"/> | შენობა-ნაგებობების გეგმა / PLAN OF FACILITIES |
| <input type="checkbox"/> | შენობა-ნაგებობების საკუთრების ან სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი / A COPY OF THE DOCUMENT CONFIRMING OWNERSHIP OF FACILITIES OR THE RIGHT OF USE |

5) ზსს-ს პილოტის ინსტრუქტორის სწავლებები / ULM INSTRUCTOR TRAINING COURSES

| სდ-ის მიერ ზსს-ს პილოტის ინსტრუქტორისთვის გაწეული სწავლებები TRAINING COURSES PROVIDED BY IULM TRAINING ORGANIZATION | მითითებები სწავლებისას გამოყენებული პროგრამებზე REFERENCES ON THE PROGRAMS USED DURING TRAINING |
|---|--|
| <input type="checkbox"/> კლასი 1 (მოტოდელტაპლანი) Class 1 (WEIGHT-SHIFT CONTROL AIRCRAFT) | |
| <input type="checkbox"/> კლასი 2 (თვითმფრინავი) Class 2 (AIRPLANE) | |
| <input type="checkbox"/> კლასი 3 (ავტოჟირი) Class 3 (AUTOGYRO) | |
| <input type="checkbox"/> კლასი 4 (ზემსუბუქი შვეულმფრენი) Class 4 (ULTRALIGHT HELICOPTER) | |

6) ზსს-ის პილოტის ინსტრუქტორის მასწავლებლების ჩამონათვალი / LIST OF TEACHERS FOR IULM TRAINING

| ზსს-ის პილოტის ინსტრუქტორის მასწავლებლ(ებ)ი / TEACHERS FOR IULM TRAINING | | |
|--|-----------------------------------|--|
| სახელი და გვარი FIRST AND LAST NAME | მოწმობის ნომერი LICENSE NUMBER | მასწავლებელი განკუთვნილია (მონიშნეთ შესაბამისი გრაფა) TEACHER IS DEDICATED FOR (CHECK THE CORRESPONDING BOXES) |
| | | <input type="checkbox"/> კლასი 1 (მოტოდელტაპლანი) Class 1 (WEIGHT-SHIFT CONTROL AIRCRAFT) |
| | | <input type="checkbox"/> კლასი 2 (თვითმფრინავი) Class 2 (AIRPLANE) |
| | | <input type="checkbox"/> კლასი 3 (ავტოჟირი) Class 3 (AUTOGYRO) |
| | | <input type="checkbox"/> კლასი 4 (ზემსუბუქი შვეულმფრენი) Class 4 (ULTRALIGHT HELICOPTER) |
| | | <input type="checkbox"/> კლასი 1 (მოტოდელტაპლანი) Class 1 (WEIGHT-SHIFT CONTROL AIRCRAFT) |
| | | <input type="checkbox"/> კლასი 2 (თვითმფრინავი) Class 2 (AIRPLANE) |
| | | <input type="checkbox"/> კლასი 3 (ავტოჟირი) Class 3 (AUTOGYRO) |
| | | <input type="checkbox"/> კლასი 4 (ზემსუბუქი შვეულმფრენი) Class 4 (ULTRALIGHT HELICOPTER) |
| | | <input type="checkbox"/> კლასი 1 (მოტოდელტაპლანი) Class 1 (WEIGHT-SHIFT CONTROL AIRCRAFT) |
| | | <input type="checkbox"/> კლასი 2 (თვითმფრინავი) Class 2 (AIRPLANE) |
| | | <input type="checkbox"/> კლასი 3 (ავტოჟირი) Class 3 (AUTOGYRO) |
| | | <input type="checkbox"/> კლასი 4 (ზემსუბუქი შვეულმფრენი) Class 4 (ULTRALIGHT HELICOPTER) |
| | | <input type="checkbox"/> კლასი 1 (მოტოდელტაპლანი) Class 1 (WEIGHT-SHIFT CONTROL AIRCRAFT) |
| | | <input type="checkbox"/> კლასი 2 (თვითმფრინავი) Class 2 (AIRPLANE) |
| | | <input type="checkbox"/> კლასი 3 (ავტოჟირი) Class 3 (AUTOGYRO) |
| | | <input type="checkbox"/> კლასი 4 (ზემსუბუქი შვეულმფრენი) Class 4 (ULTRALIGHT HELICOPTER) |

დოკუმენტები, რომლებიც თან უნდა დაერთოს განაცხადს / DOCUMENTS TO BE ATTACHED TO THIS APPLICATION:

ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის მასწავლებლ(ებ)ი / TEACHERS FOR IULM TRAINING

| | |
|--------------------------|---|
| <input type="checkbox"/> | ზსხ-ს პილოტის მოწმობის ასლი, რომელიც ადასტურებს ინსტრუქტორის კვალიფიკაციას / COPY OF THE ULM PILOT LICENSE SHOWING IULM QUALIFICATION |
| <input type="checkbox"/> | მოწმობის მფლობელი პირის განცხადება, რომ აკმაყოფილებს სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2024 წლის 2 თებერვლის №27 ბრძანებით დამტკიცებული წესის „ზემსუბუქი საჰაერო ხომალდის პილოტის მოწმობის გაცემის წესი“ 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის პირობას / STATEMENT BY THE LICENSE HOLDER THAT HE/SHE MEETS THE CONDITIONS OF ORDER NO. 27, DATED FEBRUARY 2, 2024, ARTICLE 23, PARAGRAPH 3 OF THE "RULES FOR ISSUING ULTRALIGHT AIRCRAFT PILOT LICENSES" APPROVED BY DIRECTOR OF THE LEPL - CIVIL AVIATION AGENCY OF GEORGIA |

7) ზსხ-ს პილოტის ინსტრუქტორის სწავლებისას გამოყენებული ზსხ-ების და მათი მოსახმობი რადიოსიგნალების ჩამონათვალი / LIST OF ULM AND THEIR CALL SIGNS USED IN THE TRAINING OF IULM

| ზსხ-ების ჩამონათვალი / LIST OF ULM'S | | | |
|---|----------------|-------------------|-------------------------------------|
| აღრიცხვის ნიშნები REGISTRATION MARKS | კლასი CLASS | მფლობელი OWNER | მოსახმობი რადიოსიგნალი CALL SIGN |
| 1. | | | |
| 2. | | | |
| 3. | | | |
| 4. | | | |
| 5. | | | |
| 6. | | | |

დოკუმენტები, რომლებიც თან უნდა დაერთოს განაცხადს / DOCUMENTS TO BE ATTACHED TO THIS APPLICATION:

ზსხ-ს პილოტის ინსტრუქტორის სწავლებისას გამოყენებული ზსხ-ები / LIST OF ULM'S USED IN THE TRAINING OF IULM

| | |
|--------------------------|--|
| <input type="checkbox"/> | ზსხ-ს ქირავნობის ან სარგებლობის სხვა უფლების დამადასტურებელი ხელშეკრულება, თუ ზსხ(ები) არ არის სდ-ს საკუთრებაში / RENTAL OR OTHER USAGE AGREEMENT FOR ULMs NOT OWNED BY THE IULM TRAINING ORGANIZATION |
| <input type="checkbox"/> | ზსხ-ს მოქმედი სადაზღვევო პოლისი / THE ACTIVE INSURANCE POLICY OF THE ULM |

8) ინფორმაცია ზსხ-ს ტექნიკურ მომსახურებასთან დაკავშირებით / INFORMATION REGARDING MAINTENANCE OF ULM'S

| ზსხ-ის ტექნიკური მომსახურება / MAINTENANCE OF ULM | |
|---|--|
| ზსხ-(ებ)ის ტექნიკურ მომსახურებაზე პასუხისმგებელი პირები და/ან საწარმოები / PERSONS OR MAINTENANCE ORGANIZATIONS RESPONSIBLE FOR ULM'S MAINTENANCE | |

9) ინფორმაცია პედაგოგიურ და დოკუმენტურ რესურსებთან დაკავშირებით / INFORMATION ON TEACHING RESOURCES AND DOCUMENTATION

პედაგოგიური საშუალებები და დოკუმენტაცია / TEACHING MEANS AND DOCUMENTATION

| | |
|--|--|
| <p>სწავლებისას გამოყენებული პედაგოგიური საშუალებები / List of teaching resources used for training</p> | |
| <p>კურსანტი ინსტრუქტორებისთვის ხელმისაწვდომი დოკუმენტების ჩამონათვალი / List of documentation available to student instructors</p> | |

| | | | |
|--|--|--|--|
| <p>სწავლების ხელმძღვანელის სახელი და გვარი / NAME AND SURNAME OF TRAINING MANAGER:</p> | | | |
| <p>ხელმოწერით ვადასტურებ, რომ/ By signing, I declare that:</p> <ol style="list-style-type: none"> 1) ამ ფორმაში მოცემული ყველა ინფორმაცია არის განახლებული; / ALL INFORMATION GIVEN IN THIS DOCUMENT IS UP TO DATE; 2) ზსხ-ს ფრენისუნარიანობასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი (ზსხ-ს აღრიცხვის ბარათი; ზსხ-ს ფრენისუნარიანობის დეკლარაციის მიღების დასტური; საჰაერო ხომალდის რადიოსადგურის სერტიფიკატი) არის მოქმედი; / THE DOCUMENTS RELATED TO SUITABILITY FOR FLY OF ULM (IDENTIFICATION CARD, ACKNOWLEDGE RECEIPT OF THE DECLARATION OF ULM SUITABILITY FOR FLIGHT,) ARE VALID; 3) თითოეული ზსხ არის ფრენისუნარიანი და მათი ტექნიკური მომსახურება ხორციელდება ზსხ-ს ტექნიკური მომსახურების სახელმძღვანელოს შესაბამისად; / THE ULMS ARE SUITABLE FOR FLIGHT AND MAINTAINED IN ACCORDANCE WITH THE MAINTENANCE MANUALS; 4) ზსხ-ს მოქმედი სადაზღვევო პოლისი ფარავს ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის მომზადებისას (სწავლების) წარმოქმნილ რისკებს; / THE ACTIVE INSURANCE POLICY OF THE ULM COVERS THE RISKS ARISING DURING THE TRAINING OF THE ULM PILOT INSTRUCTOR; 5) განახლებული ზსხ-ის პილოტის ინსტრუქტორის მომზადებისას გამოყენებული (ან ხელმისაწვდომია კურსანტი ინსტრუქტორებისთვის) დოკუმენტაცია; / THE DOCUMENTATION USED (OR MADE AVAILABLE TO STUDENTS) AS PART OF THE ULM INSTRUCTOR TRAINING IS UP TO DATE; 6) ორგანიზაცია, მისი პერსონალი და სასწავლო პროგრამები აკმაყოფილებს ზემსუბუქი საჰაერო ხომალდის პილოტის მოწმობის გაცემისა და პილოტის ინსტრუქტორის სასწავლო დაწესებულების სერტიფიცირების წესის მოთხოვნებს; / THE ORGANISATION, ITS PERSONNEL, AND TRAINING PROGRAMMES COMPLY WITH THE RULES FOR THE ISSUANCE OF AN ULTRALIGHT AIRCRAFT PILOT LICENCE AND CERTIFICATION OF THE IULM TRAINING ORGANIZATION. 7) სერტიფიკატის შემადგენელი ნებისმიერი მონაცემის ცვლილება ან საქმიანობის შეწყვეტა შეტყობინებული იქნება სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსთვის. / ANY CHANGES TO THE CERTIFICATE OR TERMINATION OF ACTIVITY WILL BE REPORTED TO THE CIVIL AVIATION AGENCY. | | | |
| <p>სწავლების ხელმძღვანელის ხელმოწერა/ SIGNATURE OF TRAINING MANAGER:</p> | | <p>დირექტორის ხელმოწერა/ SIGNATURE OF DIRECTOR:</p> | |
| <p>თარიღი/ DATE :</p> | | <p>თარიღი/ DATE :</p> | |

II. სწავლებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია | DOCUMENTS RELATED TO TRAINING

განმცხადებელმა უნდა დაურთოს შემდეგი დოკუმენტები / THE APPLICANT MUST ATTACH FOLLOWING DOCUMENTS:

- 1) **საწყისი მომზადების დაწყებამდე შეფასების ფურცელი** / THE INITIAL TRAINING ENTRY ASSESSMENT SHEET;
- 2) **კურსანტი ინსტრუქტორის საწყისი მომზადების დასრულების დასტური** / PROOF OF COMPLETION OF INITIAL TRAINING FOR A STUDENT-INSTRUCTOR;
- 3) **სასწავლო პროგრამა(ები), რომლის განხორციელებასაც გეგმავს განმცხადებელი** / A TRAINING PROGRAM FOR EACH TRAINING COURSE PROVIDED;
- 4) **ცოდნის შემოწმების და სწავლების პროგრესის ამსახველი ინდივიდუალური სასწავლო ჩანაწერების განახლების მეთოდები** / METHODS FOR CHECKING KNOWLEDGE AND UPDATING INDIVIDUAL TRAINING RECORDS REFLECTING LEARNING PROGRESS.



სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო
LEPL – CIVIL AVIATION AGENCY

ზსხ-ს პილოტის ინსტრუქტორის ცოდნის განახლების კურსის გავლის დასტური
PROOF OF COMPLETION OF IULM KNOWLEDGE REFRESHER COURSE

დანართი №25

ზსხ-ს პილოტის ინსტრუქტორის ცოდნის განახლების კურსის გავლის დასტური

შენიშვნა: წინამდებარე დოკუმენტი, სააგენტოში წარდგენისას, უნდა იყოს შევსებული ქართულ ენაზე. ინგლისური ენაზე თითოეული მოთხოვნის შესატყვისი მნიშვნელობები მოცემულია მარჯვენა სვეტში.

Important note: This document, when submitted to the Agency, must be completed in the Georgian language. Corresponding entries in English for each requirement are provided in the right-hand column.

| | |
|---|--|
| მე, ქვემოთ ხელისმომწერი [მიუთითეთ სახელი და გვარი], | I, the undersigned [with indicating name and surname], |
| სასწავლო ორგანიზაციის [მიუთითეთ სდ-ის დასახელება] სწავლების ხელმძღვანელი, | training manager of the IULM training organization [with specifying name], |
| სერტიფიკატის ნომრით [მიუთითეთ სდ-ის სერტიფიკატის ნომერი], | with certificate number [with indicating the certificate number], |
| ზსხ-ს შემდეგ კლას(ებ)ზე პილოტის ინსტრუქტორის მომზადების უფლებამოსილებით: | authorized to conduct IULM training in the following class(es) of the ULM: |

- კლასი 1 – მოტოდელტაპლანი
CLASS 1 – WEIGHT-SHIFT CONTROL AIRCRAFT
- კლასი 2 – თვითმფრინავი
CLASS 2 – AIRPLANE
- კლასი 3 – ავტოჟირი
CLASS 3 – AUTOGYRO
- კლასი 4 – ზემსუბუქი შვეულმფრენი
CLASS 4 – ULTRALIGHT HELICOPTER

ვადასტურებ, რომ ქვემოაღნიშნულმა პირმა, რომელიც არის : / I certify that the person named below, is :

| | |
|------------------------------------|---|
| სახელი First Name: | გვარი Family Name: |
| დაბადების თარიღი Date of Birth: | ზსხ-ს პილოტის მოწმობის ნომერი ULM License No.: |

წარმატებით გაიარა ზსხ-ს პილოტის ინსტრუქტორის ცოდნის განახლების კურსი შემდეგ პერიოდში / Has successfully completed the ULM knowledge refresher course during the following period:

თარიღი
Date:

თარიღი
Date:

სწავლების ხელმძღვანელის სახელი, გვარი და ხელმოწერა
NAME AND SURNAME OF TRAINING MANAGER AND SIGNATURE:

ინსტრუქტორის სახელი, გვარი და ხელმოწერა
NAME AND SURNAME OF IULM:



სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტო
LEPL – Civil Aviation Agency

კანდიდატის სახელი და გვარი ან მოწმობის
ნომერი/ FIRST AND LAST NAME OF CANDIDATE OR
LICENSE NUMBER:

დანართი №26

ზსხ-ს პილოტის ინსტრუქტორის კომპეტენციის შეფასების ფორმა

ზსხ-ს პილოტის ინსტრუქტორის კომპეტენციის შეფასება
COMPETENCY ASSESSMENT OF IULM

| | | |
|--|---|---|
| <input type="checkbox"/> კვალიფიკაციის პირველად მინიჭება INITIAL ISSUE | <input type="checkbox"/> კვალიფიკაციის გაგრძელება REVALIDATION | <input type="checkbox"/> კვალიფიკაციის განახლება RENEWAL |
| <input type="checkbox"/> კლასი 1 – მოტოდელტაპლანი Class 1 – Weight-Shift Control Aircraft | <input type="checkbox"/> კლასი 2 – თვითმფრინავი Class 2 – Airplane | <input type="checkbox"/> კლასი 3 – ავტოჟირი Class 3 – Autogyro |
| <input type="checkbox"/> კლასი 4 – ზემსუბუქი შველმფრენი Class 4 – Ultralight Helicopter | | |
| ერთზე მეტი ზსხ-ის კლასის კვალიფიკაციის გაგრძელების შემთხვევაში, გთხოვთ, მიუთითოთ, ზსხ-ს რომელ კლასზე განხორციელდა წინა კომპეტენციის შეფასება/ In the case of revalidation of more than 1 ULM class rating, specify the class on which the previous competence assessment took place: | | |

ინსტრუქტორობის კანდიდატი | TRAINEE INSTRUCTOR

| | |
|---|------------------------------------|
| სახელი First Name: | ტელეფონი Telephone: |
| გვარი Family Name: | ელ. ფოსტა Email: |
| დაბადების თარიღი Date of Birth: | მოწმობის ნომერი License number: |
| <p>ვადასტურებ, რომ არ ვიმყოფები მოცდის (კვალიფიკაციის ვადის გაგრძელებისას) პერიოდში – გადავადების შემთხვევაში მიუთითეთ თარიღი და ზსხ-ს კლასი: ()</p> <p><input type="checkbox"/> I declare that I am not subject to deferral (postponement) – in the event of a deferral, specify the date and class:</p> | |
